პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომ. პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამს. [illegible] 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. [illegible] რეგიონში—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „[illegible]“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებანი: ნონპარელის სტრიქონი—20 კ., ამ[illegible] სამგლოვიარო—5 მან. [illegible] ციფრებით—25 კ. [illegible] 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს. [illegible]
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—30.

შაბათი, 11 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 157 (1312)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ფრანგებმა უკან დაახევინეს რიფებს [illegible].
- გერმანია უარს ამბობს ერთა ლიგის [illegible] მუხლების შესწორებაზე.
- საბჭოთა საჰაერო ექსპედიცია მიფრინავს პეკინისაკენ.
- სოფიის (ბულგარეთი) სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა 20-დი კაცს.
- ოსმალეთის ელჩმა მოსკოვში რწმუნების სიგელი ჩააბარა კალინინს.

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად

ამა წლის 13 ივლისს

გაიხსნება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის

მე-2 სესიის სხდომა.

სესიის დღიური წესრიგი გამოცხადებული იქნება დამატებით.

ს. ს. ცაკის მდივანი ს. თოდრია.

ორშაბათს, 13 ივლისს, საღამოს 6 საათზე [illegible] თეატრში

დანიშნულია თბილისის საბჭოს

სხდომა

დღის წესრიგი

1. [illegible] რკინის გზის გაყვანის შესახებ.
2. სამგორის არხის მოწყობის შესახებ.
3. საზოგადოებრივი სამუშაოების შესახებ.
4. მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა აღნიშნულ დროზე სავალდებულოა.

№ 1469—2—1 პრეზიდიუმი

საბჭოები და უცხოეთი

„მუშათა პარტიის წრეებში პარლამენტში [illegible] დამშვიდებით უყურებენ [illegible] საბჭოთა დამოკიდებულებას. წერილმა, [illegible]ლითაც მიმართეს მთავრობას სველსმა და სიტრინმა დიდი-ბრიტანეთის ტრედიუნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს სახელით, როგორც ეტყობა, ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა პარლამენტის წრეებში“—ასეთია ცნობა ლონდონიდან. მეორე მხრით პოლონეთის მთავრობა გულწრფელად თუ დემაგოგიის მიზნით თანხმობას აცხადებს ჩიჩერინის წინადადებაზე იმის შესახებ, რომ ამორჩეული იქნეს შერეული კომისია ორივე მხარისაგან იმ ინციდენტის გამოსარკვევათ, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ დღეებში პოლონეთ-ბელორუსიის საზღვარზე. ასეთია ერთი ჯგუფი ფაქტების, რომლებიც შეგვიძლია აღვნიშნოთ დღეს.

იმავე დროს ცხოველდება პრესის აგიტაცია საფრანგეთში. რენეგატი და გაიძვერა ბურცევი სთხზავს იმპერიალისტების სხვა დაქირავებულ აგენტებთან ერთად წერილებს ვითომდა იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა მთავრობას კავშირი აქვს აბდ-ელ-ქერიმთან, რომლისთვის ცდილობს პარიზის წარმომადგენლობის ერთი მოსამსახურის საშუალებით იარაღის შესყიდვას მაროკოში გასაგზავნად. ეს წერილი დასტამბულია მეორე ცნობილი რენეგატის, ყოფილი „რევოლიუციონერისა“ და დღეს ბურჟუაზიის მიერ მოსყიდული გუსტავ ერვეს გაზეთში. ასეთია ფანტაზიისა და სიგიჟის ის საზღვარი, რომელსაც მიაღწია ჯერჯერობით ორი რენეგატის მახვილმა ჭკუამ და ბინძურმა სინიდისმა.

აღსანიშნავია ამას გარდა კამპანია, რომელსაც ეწევა დღეს კომუნიზმის და ჩვენი კავშირის წინააღმდეგ ფაშისტური ლიგა, რომლის რეზიდენცია არის ჟენევა.

ასეთია ორი ჯგუფი ფაქტების.

ისინი არ მოწმობენ, რასაკვირველია, რომ ჩვენი მტრების ბანაკში სრული ერთიანობა არის ან და შეთანხმებული გამოდიან ჩვენს წინააღმდეგ. ეს ერთიანობა და შეთანხმება მიუწვდომელი ხდება მათთვის, ცხადია, არა იმ მიზეზით, რომ ფოსტა-ტელეგრაფის ქსელი ცუდათ მუშაობს ევროპაში და მათ კიდევ ვერ მოახერხეს ერთმანეთთან დაკავშირება მოსალაპარაკებლათ, არამედ იმიტომ, რომ, როგორიც ძლიერი არ უნდა იყოს მათი ყველას [illegible], როგორმე აცნონ კომინტერნსა და საბჭოთა კავშირს და მოიცილონ ორივე თავისი სავალი გზიდან მთელი მსოფლიოს დასამონებლათ და გადასაყლაპავათ—მაინც ფაქტი, რომ ყველა ამ ქვეყნებში მოქმედებენ ასეთი თუ ისეთი მეტნაკლებობით ძალები, რომლებიც ყელში აქვთ გახირებული ბურჟუაზიულ მთავრობებს და არ აძლევს მათ თავისუფალი მოძრაობის საშუალებას. თუ ყველგან ისე ძლიერი არ არის მუშათა ორგანიზაციები, როგორც ინგლისში, ყოველ შემთხვევაში ყველგან ისე მძიმე შინაური ეკონომიურ-ფინანსიური მდგომარეობა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი პოლიტიკური კრიზისი, იმდენათ აწეწილი და გართულებულია მათი საგარეო მდგომარეობა, რომ რაიმე აქტიურ მოქმედებაზე, გარდა პოლიციური დევნისა თავიანთი ქვეყნის ერთეულ კომუნისტებზე ან ჯგუფებზე შეიძლება მხოლოთ ლაყბობა, პრესის ახმაურება, მაგრამ არა რაიმე სერიოზული ნაბიჯი მსგავსი იმისა, რომელზეც უკანასკნელ დღეებში ლაპარაკი იყო ლონდონის კაბინეტის ზოგიერთი წევრების გამოსვლებთან დაკავშირებით.

სწორედ იმაში, სხვათა შორის, მდგომარეობს საბჭოთა კავშირის საგარეო მდგომარეობის (შინაურზე ამჟამად არას ვლაპარაკობთ) სიძლიერე, რომ ობიექტიური პირობები დღევანდელი საერთაშორისო ურთიერთობისა, რომლის ავტორია იმპერიალისტური ბურჟუაზია, ჰქმნიან ისეთ ძალებს, ამ პირობებთან არის დაკავშირებული ისეთი დაბრკოლებანი, რომლებიც თავისუფალი გაქანების საშუალებას უსპობენ ბურჟუაზიას, მათ მთავრობებს, და ხელს უწყობენ ჩვენი კავშირის ზრდასა და ბრძოლის პოზიციების გამაგრებას.

ჩვენი ამხანაგები უცხოეთში კიდევ მეტი, ვინემ დღემდე, ენერგიით შეეცდებიან, რომ დარაზმონ ყველა ძალები, რომლებიც ობიექტიურად შექმნილ მდგომარეობას გამოიყენებენ ჩვენი საერთო მიზნების მისაღწევად.

სათემო სასამართლოების მიზანი და სტრუქტურა*)

ვინც კი დაახლოებულია გლეხობასთან, ვინც იცის მისი ყოველდღიური ჭირ-ვარამი და სულისკვეთება, დამერწმუნება, რომ სათემო სასამართლოების დაარსების საკითხი არის დღეს მეტად მტკივნეული და საჭირბოროტო. სათემო სასამართლოების შემოღება აუცილებელია ჩვენი სოფლად მუშაობისა და სამართლიანობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებისათვის.

ამ წერილის მიზანია მივაქციო ცეკასთან არსებულ საბჭოთა აღმშენებლობის კომისიის ყურადღება ამ საკითხზე, რათა სათემო დებულების გადასინჯვის დროს, შეტანილ იქნას ამ დებულებაში სათემო სასამართლოების დაარსების პროექტიც.

აღნიშნული საკითხი, წასულ წელს, როცა მიმდინარეობდა დისკუსია რაიონიზაციის შესახებ, წამოაყენა ამხ. ამბ. ურუშაძემ; შემდეგ იგივე საკითხი წამოიჭრა სასამართლოების მუშაკთა ყრილობაზე, მაგრამ დღემდი ის არ არის გადაჭრილი.

საკითხის გასაშუქებლათ მოვიყვანოთ ჯერ ცნობა არსებულ სახ. სასამართლოების შესახებ.

1922 წლის აღწერით, აღმოსავლეთ საქართ. ოლქის სასამართლოს ფარგლებში მდებარე 8 მაზრაში, რომლის სივრცე უდრის—31.088 ოთხკუთხ. ვერსს (790.268 სოფ. მცხ. მოწყობილია 16 სასამართლო უბანი

თბილისის მაზრაში არსებობს—5 სახ. სასამართლო, თითო სასამართლო მოდის—26.278 სულზე; 2) გორის მაზრა—4 სახ. სასამართლო, თითოზე—33.865 სული; 3) დუშეთის მაზრ.—1 სასამართ.—34.328 სულზე; 4) თელავის—1 სასამართ.—30.168 სულზე; 5) სიღნაღის—4 სასამართ. თითოზე—25.593 სული; 6) ბორჩალოს—1 სასამ.—30.168 სულზე და სხვა.

აქ მოყვანილი ცნობა, სასამართლო უბნების და რაიონების მხრივ მცხოვრებლებთან შედარებით არ არის წონასწორი, ვინაიდან სასამართლოში შემოსულ საქმეების რიცხვზე უმთავრესად გავლენა აქვს არა მარტო სამოქმედო ტერიტორიის სივრცეს—მის მოსახლეობის რაოდენობას, არამედ სხვა მიზეზებსაც: გეოგრაფიულ მდებარეობას, მანძილს სასამართლო ცენტრისა და სოფლებს შორის. რკინის გზის ლიანდაგის სიახლოვეს, ეკონომიურ პირობებს, ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობას, მცხოვრებთა კულტურულ დონეს და მათ მიდრეკილებას სასამართლო დავისაკენ.

სოფლის მეურნეობისა და გლეხთა ცხოვრების შესაფერისად მოწყობა დღეს შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას და თქმა არ უნდა, სათემო სასამართლოების დაარსების საკითხსაც, ის მიაქცევს სათანადო ყურადღებას.

როგორც ვსთქვით, გლეხისათვის საჭიროა თავისი—საკუთარი სასამართლო, რომელიც უნდა იყოს მასთან დაახლოებული, მარტივი, მოქნილი, შინაური. იქ დაუყოვნებლივ უნდა ირჩეოდეს მისი საქმე, მისივე მეზობლების მიერ, რომლებმაც გაცილებით უკეთ იციან თავისი სამეზობლო საქმეები, სოფლის ჭირ-ვარამი და გლეხის სულისკვეთება.

ამჟამად არსებული დარაიონება მცხოვრებთ აშორებს სასამართლოს. გლეხები იძულებული ხდებიან მეორე ხარისხოვან საქმეებზე მიმართონ ადგილობრივ აღმასკომებს და მილიციას; ან და საკუთარის ძალით გადასწყვიტონ ესა თუ ის წვრილმანი სადაო საკითხები. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭიროა სასამართლო რაიონების გადასინჯვა, სამართლოების მშრომელ მასებთან დაახლოება. სათემო სასამართლოების შექმნა დღეს თანადროულია და მიზან შეწონილი.

სახალხო სასამართლოები მოწყობილია უმთავრესად სამაზრო ქალაქებში და რაიონის ცენტრებში. მათი დაახლოება თემებთან იმდენად, რომ გლეხს თავისუფლად, დროს დაუკარგველად შეეძლოს იქ სიარული და საქმის წარმოება ერთობ ძნელია, მოუხერხებელია, უკეთუ მათი რიცხვი არ იქნება ორჯერ და სამჯერ გადიდებული. ეს გარემოება კი გამოიწვევს დიდ ხარჯებს, რომელიც, თქმა არ უნდა, დიდ სიმძიმით დააწვება კისერზე ისედაც გადატვირთულ ადგილობრივ ბიუჯეტს.

დღევანდელ პირობებში, როდესაც სოფლები მოკლებულია კარგ გზებს ხიდებს და აგრეთვე მისი მეურნეობაც არ არის ჯერ გამაგრებული—მშრომელთათვის სამაზრო სახალხო სასამართლოში სიარული —30—40 ვერსის მანძილზე, რასაკვირველია, მეტად სამძიმოა და საზარალოც. მეტადრე შემოდგომისა და ზამთრის თვეებში, როცა მას ხელს უშლის: ტალახი, თოვლი, სუსხი და ქარბუქი. რის გამო ის, თუ ძალიან არ გაუჭირდა, სასამართლოში, არ წავა, მით უმეტეს სამუშაო სეზონის დროს, როდესაც ყოველი წუთი მისთვის ძვირფასია.

ამით აიხსნება სწორედ ის გარემოებაც, რომ სახალხო სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების რიცხვმა, სისხლის სამართლის საქმეებთან შედარებით საგრძნობლად იკლო (50—60 პროც.-მდე).

გლეხობას აქვს მრავალი საკუთარი წვრილმანი საქმეები, რომლებიც მხოლოდ გარეგანი შეხედულებით არიან უმნიშვნელონი, მაგრამ სინამდვილეში კი ისინი შეადგენენ მისი მეურნეობის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგალითად: აქ ქათამი მოუკლეს, იქ ყანაში ღორი დაუშვეს, ან საქონელმა სიმინდი გაუფუჭა, ბოსტანი ბატებმა გადაუჭამეს, მეზობელმა გზა არ მისცა, შეურაცხყოფა მიაყენეს და სხვა... ასეთ საქმეებისათვის ის სახალხო სასამართლოში არ ივლის ამისათვის მას არ აქვს არც დრო და არც შეძლება, რადგან ვინმეს თხოვნა უნდა დააწერიოს, ვინ იცის ისიც როგორს დაუწერს და რამდენს გადახდევინებს, უნდა შეიტანოს სასამართლოში, გადაიხადოს ბაჟები და სარჩელის გადასახადი; ვინ იცის რამდენი დრო დასჭირდება საქმის გარჩევას; ხშირად მან თავის ხარჯზე მოწმეებიც კი უნდა წაიყვანოს და სხვა. ასე რომ მას ზარალზე მეტი ხარჯები მოუვა და დროსაც ბევრს დაჰკარგავს. ამ მოსაზრებით ის სახალხო სასამართლოს ერიდება, ხოლო იმავე დროს კი მას გულზე ბოღმა აწვება და ბრაზი მოსდის, არ შეუძლია [illegible] გადაიტანოს ყოველივე ეს და ელის მოხერხებულ დროს, რომ მეზობელს მაგიერ გადაუხადოს მოყენებული ზარალისა და თავმოყვარეობის შებღალვისათვის.

ხშირად გლეხი ამ სიძნელიდან თვითონ პოულობს ერთგვარ გამოსავალს, ის მიმართავს სოფლის კეთილსინდისიერ პირს სადაო საკითხის გადასაჭრელად, მაგრამ უბედურებაც იმაშია, რომ ამ პირის გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა არ აქვს და ხშირად მეორე მხარე მას არ ემორჩილება, რაც თქმა არ უნდა, კიდევ უფრო ამწვავებს და აორკეცებს მხარეთა შორის დავასა და დამოკიდებულებას.

მომავალ სათემო სასამართლოს სტრუქტურა მე მაქვს დასახული ამგვარად: სათემო სასამართლო უნდა შესდგებოდეს სამი პირისაგან, რომელსაც უნდა თავმჯდომარეობდეს სათემო საბჭოს მიერ არჩეული და სახალხო სასამართლოს მიერ დამტკიცებული პირი—ექვსი თვის ვადით.

წევრებს, ანუ სახალხო მსაჯულებს, უნდა ირჩევდეს გლეხობა და ამტკიცებდეს მათ ადგილობრივი თემის საბჭო.

სათემო სასამართლოს სამოქმედო ფარგლები და უფლებები განსაზღვრული უნდა იქნას კანონმდებლობის საშუალებით. ამავე დებულებით გათვალისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე ისიც, რომ სათემო სასამართლოს დადგენილების საკასაციო ინსტანციათ უნდა ითვლებოდეს სახალხო სასამართლო, სადაც უნდა თავდებოდეს სოფლის ცხოვრებაში წამოჭრილი სადაო საკითხები. ამ რიგათ, ამ გვარი ტიპის სათემო სასამართლოების დაარსებით, ჩვენ განვამტკიცებთ სოფლად სამართალს, დაუახლოვებთ გლეხობას სასამართლოებს და მით ამოვწურავთ საბოლოოდ თემებში ყველა იმ საკითხებს, რომლებიც დღეს გადაუჭრელი რჩებიან გლეხებისათვის სათემო სასამართლოების უქონლობის გამო.

ა. თაყაიშვილი.

უცხოეთის პრესა

მაროკოს ავანტიურა და საფრანგეთის კომპარტია

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის შესანიშნავ კამპანიას მაროკოს ავანტიურის წინააღმდეგ გამოაქვს ნაყოფი. ამ კამპანიის გავლენით ხდება რევოლიუციონური მობილიზაცია საფრანგეთის პროლეტარიატის, ამ კამპანიის მოძრაობაში მიჰყავს თვით სოციალისტების მიმდევარი მუშები და ეს აიძულებს სოციალისტების წარმომადგენლობას პარლამენტში უფრო „გაბედულათ“ იმოქმედოს. ეს „გაბედულობა“ დაეტყო ჯერ-ჯერობით 37 დეპუტატს: თავი შეიკავეს (ესეც დიდი მიღწევაა რენოდელის სამეფოში) იმ რეზოლიუციის მიღების დროს, რომლითაც პარლამენტი ნდობას უცხადებდა 25 ივნისის დიდი საპარლამენტო კამათის შემდეგ მთავრობას მაროკოს საკითხში. მოხდა ისიც, რომ ორმა სოციალისტმა ხმა მისცეს კომუნისტების რეზოლიუციას. ეს, ცხადია, დიდი გამარჯვებაა კომუნისტების აგიტაციისა.

კიდევ მეტი. პარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია ისეთი რამ, რაც წინეთ არავის გაუგონია მაროკოს საკითხის გარჩევის დროს მთავრობის მომხრე უმრავლესობისაგან. აი რა: რიფების ქვეყანა დამოუკიდებელი უნდა დარჩეს. ცხადია ეს ცარიელი სიტყვა, მაგრამ ის სიტყვაა, ნათქვამია. ესეც შედეგია მუშათა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისა, რომელიც მოახერხეს კომუნისტებმა.

მარსელ კაშენი ეხება „ლიუმანიტე“-ში (27 ივნისი) ამ ადგილს რეზოლიუციისას და საკადრისათ აფასებს მას.

„მაგრამ იმ დროს, როდესაც მთავრობა ჩვენი აგიტაციის გავლენით იძულებულია უკან დაიხიოს, ის მაინც თანდათან გზავნის ახალ ჯარებს მაროკოში. ეს არის თვალთმაქცობა. ამ ორპირობის და ვერაგობის წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ უფრო ენერგიულად, ვინემ დღემდე და მოვითხოვოთ ომის შეწყვეტა და ზავის ჩამოგდება ახლავე... მთავრობა კი ჯერ-ჯერობით არავითარ ნაბიჯს არა სდგამს ამ მიმართულებით. ამიტომ უნდა გავაგონოთ მას პროლეტარიატის მედგარი ხმა, რათა ვაიძულოთ ის ასე მოიქცეს... თავისი ბუნებით ყველა მუშები, ყველა პროლეტარები, ყველა გლეხები და წვრილი ბურჟუაზია წინააღმდეგი არიან მაროკოს ავანტიურისა. ჩვენმა ფართო აგიტაციამ აიძულა მთავრობა წასულიყო პირველ დათმობაზე. ამით მას სურს დააშოშმინოს და დააწყნაროს აღშფოთებული ხალხი. მაგრამ თუ შევანელეთ მუშაობა, მთავრობა აღარ წავა შემდეგ დათმობებზე და გააგრძელებს ავანტიურას. კომუნისტები მიმართავენ ყველა ორგანიზაციებში მყოფ მუშებს იხმარონ მთელი ძალა და ენერგია, რომ ეს არ მოხდეს“.

ფაშისტების კამპანია საბჭოთა მთავრობისა და კომინტერნის წინააღმდეგ

პოლონეთის მთავრობა თანახმაა ჩიჩერინის წინადადებაზე შერეული კომისიის დაარსების შესახებ

ბურცევმა ყალბი დოკუმენტების კეთებას მიჰყო ხელი.—ფაშისტური ლიგის მემორანდუმი

ინგლისის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს პროტესტმა დიდი გავლენა მოახდინა ინგლისის პარლამენტის წრეებში

გერმანიის მთავრობის „მეთვალყურე“ ფაშისტ-სტუდენტების დანაშაულს დამტკიცებულად სთვლის

საბჭოთა კავშირში მოემგზავრება პოლონეთის სეიმის დეპუტაცია

ფაშისტების იერიშები

პარიზი, 9 ივლისი. თუმცა 9 ივლისს საფრანგეთის პრესაში გამოქვეყნებულ დეპეშებს ლონდონიდან აქვს დამამშვიდებელი ხასიათი (დეპეშებში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული არა აქვს გაწყვიტოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან), მაგრამ მიუხედავად ამისა, კომინტერნის და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ დაწყებულია კამპანია, რომლის მიზანია, როგორც სჩანს, კომუნიზმის წინააღმდეგ ერთგვარ „სამღვთო კავშირის“ შექმნა.

კომინტერნთან ბრძოლის საერთაშორისო ლიგამ ჟენევაში შეიმუშავა მემორანდუმი, რომელიც გაეგზავნა ყველა მთავრობებს.

ლიგის ამ გამოსვლას სთვლიან კომინტერნის წინააღმდეგ შეთანხმებული მოქმედების დასაწყისად.

მემორანდუმი ხაზს უსვამს კომინტერნის მხრივ მოსალოდნელ საფრთხეს და მიმართავს მსოფლიოს ყველა მთავრობებს თხოვნით თავს იდონ კომინტერნის და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლის ინიციატივა.

საერთაშორისო ლიგის ბიუროს გამოსვლასთან ერთად დაიწყო ყალბი დოკუმენტების შედგენის კამპანია.

„[illegible]“ აქვეყნებს ბურცევის [illegible] შინაარსის [illegible], რომელიც ვითომცდა დორიომ გაუგზავნა ბელგიის კომპარტიის მდივანს. ამ წერილში დორიო ვითომდა ამტკიცებს ამ საქმეში საბჭოთა საელჩოს მდივნის მონაწილეობას და ურჩევს რა ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული აბდ-ელ-ქერიმისათვის იარაღის მოსაწოდებლად საბჭოთა მთავრობის ხარჯზე.

მემარჯვენე პრესა და მემარცხენე პრესის ნაწილი მოითხოვენ, რათა მთავრობამ მაროკოს ომის შესახებ გამართულ კამათის გამო, მიიღოს რეპრესიული ზომები კომუნისტების წინააღმდეგ, რათა ბოლო მოეღოს მაროკოს ომის წინააღმდეგ შეუწყვეტელ ენერგიულ კამპანიას.

„ბოლშევიზმთან მებრძოლ საერთაშორისო ლიგის“ მემორანდუმი

ვენა, 9 ივლისი. „ბოლშევიზმთან მებრძოლ საერთაშორისო ლიგის“ უნგრეთის სექციამ უნგრეთის მთავრობას გაუგზავნა ლიგის მუდმივ ბიუროს მემორანდუმი, რომელიც დაეგზავნება აგრეთვე ყველა მთავრობებს.

მემორანდუმი ბრალს სდებს კომინტერნს სისტემატიურ აგიტაციაში საყოველთაო მშვიდობიანობის წინააღმდეგ და აცხადებს, რომ კომუნისტური პროპაგანდა მიმართულია ბურჟუაზიულ სახელმწიფოების, [illegible] და [illegible] მორალის, პრინციპების [illegible] საკუთრების წინააღმდეგ, რის გამოც აუცილებელია ყველა სახელმწიფოების გაერთიანებული ბრძოლა კომინტერნთან.

მემორანდუმი წინადადებას იძლევა მოწვეული იქნას საერთაშორისო კონფერენცია მთავრობების მონაწილეობით ბოლშევიზმის წინააღმდეგ მსოფლიო კავშირის შექმნის მიზნით.

პოლონეთი

პოლონეთის სეიმის დეპუტაცია საბჭოთა კავშირში

ვარშავა, 9 ივლისი. პოლონეთის სეიმის დეპუტატებს შორის სწარმოებს აზრთა გაცვლა-გამოცვლა საბჭოთა კავშირში გამგზავრების შესახებ მის მდგომარეობასთან, კერძოთ - მიწის მოწყობასთან გაცნობის მიზნით.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შერეული კომისია.

ვარშავა, 9 ივლისი. გაზეთების ცნობით, პოლონეთის მთავრობა თანახმაა დაარსდეს განსაზღვრულ პირობებში პოლონეთ-საბჭოთა კავშირის შერეული კომისია, რომელიც მოაწესრიგებს საზღვრებზე წარმოშობილ ინციდენტებს.

პოლონეთის და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგების მნიშვნელობა

ვარშავა, 9 ივლისი. „კურიერ ვარშავსკი“ აღნიშნავს, რომ ლოძის მრეწველობა მოწყობილია სპეციალურად რუსეთისათვის საქონლის მისაწოდებლად, რისთვისაც სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებას პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს.

გაზეთის სიტყვით, სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ განზრახულ შეთანხმების დადებას აფერხებს გრძელვადიანი კრედიტის პირობა თამასუქებზე. ამიტომ მთელი შეთანხმება დამოკიდებულია იმაზე, დათანხმდება თუ არა პოლონეთის ბანკი გაანაღდოს საბჭოთა თამასუქები, რადგან მრეწველებს ფული არ აქვთ, კერძო განაღდება პოლონეთში კი ღირს 5 პროცენტი თვიურად.

ბელგია

ვანდერველდე თაღლითობს.

პარიზი. 9 ივლ. ბელგიის კომპარტიის ორგანო „დრაპო რუჟი“ ხაზს უსვამს ვანდერველდეს და ბელგიის სოციალისტების თაღლითობას საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში.

პალატის არჩევნების წინ ვანდერველდემ „როსტას“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ბელგიის მუშათა პარტია მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას ყოველ პირობების გარეშე.

9 ივლისს ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრი პარლამენტში აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა წინასწარ შეთანხმების გარეშე იქნებოდა მხოლოდ „ნაადრევი ნაბიჯი“.

საფრანგეთი

რეინჰარტს მიესაჯა 3 თვის ციხე

პარიზი, 9 ივლისი. პარიზის სასამართლომ 4 აპრილს დაპატიმრებულ რეინჰარტს მიუსაჯა 3 თვით ციხეში დაპატიმრება აკრძალულ იარაღის ტარებისათვის.

რეინჰარტი, როგორც ვიცით, ამზადებდა თავდასხმას კრასინზე.

ოსმალეთი

რწმუნებულთა სიგელების გადაცემა ოსმალეთის ელჩის მიერ

მოსკოვი, 10 ივლისი. ოსმალეთის ელჩმა საბჭოთა კავშირში—ზექაი-ბეიმ ამხ. კალინინს ჩააბარა რწმუნების სიგელი.

ინგლისი

მუშების პროტესტმა გავლენა მოახდინა.

ლონდონი, 9 ივლისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო წრეებში უფრო ნაკლებ მღელვარებას იჩენენ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავების გამო.

სუელსის და ციტრინის მიერ პრემიერისათვის გაგზავნილმა წერილმა ტრედიუნიონების გენერალურ საბჭოს სახელით, როგორც სჩანს, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საპარლამენტო წრეებში.

გერმანია

ბურჟუაზიულ ჭორებს ბოლო მოეღო

ბერლინი, 9 ივლისი. მოსკოვიდან ბერლინში დაბრუნდა საბჭოთა კანონმდებლობის საუცხოვო მცოდნე ადვოკატი [illegible], რომელიც დაესწრო გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების გასამართლებას.

პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს მან განაცხადა, რომ ბურჟუაზიული პრესის ცნობები მხოლოდ ჭორებს წარმოადგენენ. ბრალდებულებს სრული უფლება ჰქონდათ მინიჭებული თავდასაცავათ.

ფრეიდის სიტყვით უმაღლესი სასამართლო ღირსეულათ და მიუდგომლათ აწარმოებდა საქმეს, მაგრამ ბრალდებულებს კი ძალიან თავხედურათ ეჭირათ თავი. მათ თავიანთი უმსგავსო ქცევით სულ ერთიან დაჰკარგეს შესაძლებლობა სასამართლოს მხრივ სასჯელის შემსუბუქებისა. უდაო საბუთებით დამტკიცდა რომ ბრალდებულნი შეიპარნენ საბჭოთა კავშირში, როგორც კომუნისტები.

ფრეიდს უმაღლეს სასამართლოს განაჩენი მაინც შემცდარათ მიაჩნია და მიაწერს არახელსაყრელ შემთხვევების ერთად შეხვედრას.

ფრეიდის ასეთმა განცხადებამ რამდენიმეთ მაინც უნდა შეამსუბუქოს გერმანიის პრესის გაბოროტებული სისინი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ფრეიდი მიიღო საგარ. საქ. მინისტრმა, რომელსაც მოხსენება გაუკეთა პროცესის შესახებ.

გალაშქრება ფრეინდის წინააღმდეგ.

ბერლინი, 9 ივლისი. „ბერლინერ ტაგებლატ“ სასტიკად ილაშქრებს იურისტ ფრეინდის წინააღმდეგ მისი „შესაშინავი“ ანგარიშის გამო მოსკოვის პროცესის შესახებ.

გაზეთი აცხადებს, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის და მისი რწმუნებულების ფუნქციას არ შეადგენს „ასეთი მეგობრული სამსახურის გაწევა სასამართლო დანაშაულის ჩამდენთათვის“.

გერმანია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების გარშემო.

ბერლინი, 9 ივლისი. „კელნიშე ცეიტუნგ“ იტყობინება, რომ გერმანიის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი კერნერი, რომელიც მონაწილეობას [illegible] მოსკოვში [illegible] გამართულ მოლაპარაკებაში საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ, ბერლინში დაბრუნების შემდეგ განთავისუფლეს თავის თანამდებობიდან.

გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ დელეგაციის შემდეგი ხელმძღვანელობა დაევალება გერმანიის ელჩს საბჭოთა კავშირში ბროკდორფ რანცაუს.

დელეგაციის ხელმძღვანელის შეცვლა, გაზეთის აზრით, მოწმობს იმას, რომ პოლიტიკურ მიზნებს, რომელთაც ისახავს მოლაპარაკება, ეძლევა უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე ეკონომიურს.

დასასრულ გაზეთი აღნიშნავს, რომ სავაჭრო ხელშეკრულების დადება მოსალოდნელია ახლო მომავალში, რადგან გერმანია მოწადინებულია ითანამშრომლოს საბჭოთა კავშირთან.

საბჭოთა დიპლომატიური წარმომადგენლების დანიშვნა

მოსკოვი, 10 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში ჩერნიხი დაინიშნა სრულუფლებიან წარმომადგენლათ ლატვიაში. სრულუფლებიან წარმომადგენლათ ფინეთში კი დაინიშნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლიტვაში—ლორენცი, ხოლო სრულუფლებიან წარმომადგენლათ ლიტვაში დაინიშნა ალექსანდროვსკი.

თავაშვებული რეაქცია

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი, 10 ივლისი. „იზვესტია“ მოწინავე წერილში ამ სათაურით სწერს:

„ბირკენჰედის, ხოგის, რობერტ ხორნის და სხვ. გამოსვლები მოწმობენ იმას, თუ ვისი მეთაურობით წამოყო თავი უკიდურესმა მემარჯვენე მოძრაობამ ინგლისის კონსერვატიზმის წრეში.

უკვე დიდი ხანია გვაქვს ცნობები გააფთრებულ ბრძოლის შესახებ, რომელიც სწარმოებს ინგლისის კაბინეტის შიგნით სხვადასხვა მიმართულებებს შორის; მაგრამ არასოდეს მემარჯვენე ფრთა არ გამოსულა თავისი ზრახვებით ისე როგორც ამჟამად.

ინგლისის უკიდურესი კონსერვატორები სხვადასხვა გზით ახდენენ ზეგავლენას საფრანგეთის მმართველ წრეებზე და ცდილობენ საფრანგეთიც გაიხადონ მოკავშირეთ ანტისაბჭოთა კამპანიაში. სასტიკი კამპანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც სწარმოებს გერმანიის პრესაში, მსჯავრ დადებულ გერმანელ სტუდენტების საქმესთან დაკავშირებით, რასაკვირველია, შედეგია იმ მეტად ძლიერი ზეგავლენის, რომელსაც ახდენენ ინგლისელები გერმანიის ზოგიერთ ბურჟუაზიულ პარტიებზე. უკანასკნელ დროს ძალიან გაძლიერდა ინგლისის და ჩვენს უკიდურეს შავრაზმელების წარმომადგენლების და აგენტების მუშაობა დასავლეთ სახელმწიფოებში. უკანასკნელებთან არიან დაკავშირებული ამჟამად ის ავანტიურისტული ელემენტები პოლონეთში, რომლებიც ახდენენ თავდასხმებს ჩვენს ტერიტორიაზე, რათა გავლენა მოახდინონ მშვიდობიანად განწყობილ პოლონეთის მთავრობაზე. გაძლიერებული უკიდურესი მოძრაობა ინგლისის კონსერვატიულ პარტიაში ცდილობს მოახდინოს ზეგავლენა ჩემბერლენზე და აგრეთვე პრემიერზე და საერთოდ ამავე პარტიის უფრო ზოგიერთ წრეებზე.

თვითონ ჩემბერლენი თავის საჯარო გამოსვლებში კიდევ არ კარგავს სათანადო სიფრთხილეს და ადგია დაცდის პოზიციას.

ინგლისის კონსერვატიული პარტიის შიგნით დაწყებული ბრძოლის დასასრულს დიდი და სერიოზული მნიშვნელობა ექნება მსოფლიო ამბების შემდეგი მსვლელობისათვის“.

ომის ლიგაში

გერმანია უარს ამბობს ერთა ლიგის მაჩანჩალათ გახდომაზე

ვარშავა, 9 ივლისი. პოლონეთის სააგენტოს ცნობით ვარშავაში მოხდა ერთა ლიგის მეგობრების საერთაშორისო კავშირის ყრილობა. გერმანიის წარმომადგენელმა ბერნსდორფმა განაცხადა, რომ გერმანია წარმოადგენს ერთად ერთ ნამდვილად განიარაღებულ ქვეყანას. ამიტომ ერთა ლიგის წესდების მე-16-ე მუხლი, რომელიც ავალებს ლიგის ყველა წევრებს მონაწილეობა მიიღოს „მშვიდობიანობის დამრღვევის“ წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებაში, ვერ გავრცელდება გერმანიაზე. გერმანიის ვერცერთი მთავრობა ვერ დასთანხმდება ამ მუხლს.

უაზროა ერთა ლიგის არსებობა

ვარშავა, 9 ივლისი. ერთა ლიგის მეგობართა საზოგადოებების კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე გერმანელთა უმცირესობის წარმომადგენელმა ჩეხო-სლოვაკიიდან მედინგერმა განაცხადა, რომ ნაციონალურ უმცირესობათა მდგომარეობა ევროპის აღმოსავლეთით ამ ბოლო დროს შექმნილ სახელმწიფოებში აუწერელია.

თუ ნაციონალურ უმცირესობებს, სთქვა მედინგერმა, არ შეუმსუბუქდათ ცხოვრების პირობები, მათი მჩაგვრელი სახელმწიფოებიც დაიღუპებიან.

შემდეგ მედინგერმა სასტიკად გააკრიტიკა ერთა ლიგის მეგობართა საზოგადოებების კონგრესთა რეზოლიუციები და აღნიშნა, რომ ამ რეზოლიუციაში მიჩქმალულია ყველაზე მტკივნეული საკითხები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ საზოგადოებები ენერგიულად არ დაიცავენ ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებს, რაღა აზრი ექნება მათ არსებობას.

გერმანიის ამბები

რეიხსტაგი მხარს უჭერს კომუნისტ-დეპუტატების განთავისუფლებას.

ბერლინი, 9 ივლისი. გერმანიის რეიხსტაგმა 176 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 143-ისა, მხარი დაუჭირა დაპატიმრებულ კომუნისტ-დეპუტატების შეკკერტის და პფეიფერის განთავისუფლებას. წინადადება კომუნისტ-დეპუტატების განთავისუფლების შესახებ შეიტანეს კომუნისტებმა.

უთანხმოება ინგლისის მთავრობაში

ლონდონი, 9 ივლისი. ლიბერალურ გაზეთის „დეილი ქრონიკლ“-ის თანამშრომელი იტყობინება, რომ კონსერვატიულ პარტიაში მნიშვნელოვან საკითხების გარშემო აღმოცენდა მრავალი უთანხმოება. წერილში ნათქვამია, რომ კაბინეტი თითქმის ყოველდღე მართავდა სხდომებს და იხილავდა ამ საკითხებს, მათ შორის საკითხს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების, ინგლისის ნახშირის მრეწველობის კრიზისის, ინგლისის რკინისგზათა მდგომარეობის, ჩინეთის ამბების, ინდოეთში შექმნილ მდგომარეობის, საგარანტიო ხელშეკრულების და მოკავშირეთა შორისო ვალების საკითხებს. ყველა ეს საკითხები სერიოზულ უთანხმოებას ჰბადებენ კონსერვატორებს შორის.

თვით კაბინეტში განსაკუთრებით მწვავე ხასიათი აქვს მიღებულ ბრძოლას საზღვაო და ფინანსთა სამინისტროებს შორის ახალ კრეისერების აგების საკითხის გარშემო. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა საზღვაო სამინისტრო. ხმების მიხედვით, მოსალოდნელია კაბინეტის გადახალისება.

ყველა ამ ცნობებს საჭიროა მაინც დიდი სიფრთხილით მოვეკიდოთ.

---

*) სადისკუსიოთ.

მდგომარეობის გართულება ჩინეთში

ჩან-ძო-ლინი გადატრიალებას ამზადებს პეკინში

კანტონის გუბერნატორისა და სამხედრო მინისტრის დაჭრა

საყოველთაო გაფიცვა ჩენ-ძინში.—უცხოელები გარბიან ჩენ-ძინიდან

გაფიცულების დაპატიმრება და გადასახლება გონკონგიდან

ვინ მოაწყო 23 ივნისის ხოცვა-ჟლეტა.

პეკინი, 9 ივლისი. იმ კომისიის ანგარიში, რომელსაც დავალებული ჰქონდა 23 ივნისს მომხდარ ხოცვა-ჟლეტისათვის პასუხისმგებლობის საკითხის გამოირკვევა მოწმობს, რომ **სროლა დაიწყეს შამინიდან (უცხოელთა უბანი კანტონში).**

ანგარიში თავდება შემდეგი სიტყვებით: **„სავსებით მართალია, რომ სროლა დაიწყო შამინიდან. მოწმეების ჩვენება გვიხატავს ნამდვილ სურათს, თუ როგორ მოაწყვეს უცხოელებმა დახვრეტა, როგორ მოემზადენ საამისოდ წინასწარ და მისცეს ბრძანება სროლის ატეხის შესახებ. ეჭვს გარეშეა, რომ უცხოელებმა განზრახ მოაწყვეს ეს ხოცვა-ჟლეტა“.**

მოლაპარაკება სამხედრო გემების გაყვანის შესახებ.

პეკინი. 9 ივლისი. კანტონიდან ატყობინებიან, რომ კანტონის მთავრობამ გადასწყვიტა განაგრძოს მოლაპარაკება ამერიკის და გერმანიის კონსულებთან **იმ მიზნით, რომ მოახერხოს უცხოეთის სამხედრო გემების გაყვანა.**

გაფიცულებს ასახლებენ.

პეკინი. 9 ივლისი. გაფიცულ მუშების კიდევ უფრო მეტად დასჯის მიზნით, ჰონკონგის ხელისუფლებამ ბრძანება გასცა დაპატიმრებული და გადასახლებული იქნენ ყველა გაფიცულები, რომლებიც იმყოფებიან ჰონკონგში.

საყოველთაო გაფიცვა ჩენ-ძინში.

პეკინი, 9 [illegible] ივლისი. 8 ივლისს [illegible] საყოველთაო გაფიცვა ინგლისელების და იაპონელების წინააღმდეგ ჩენ-ძინში, შან-ხუანის პროვინციაში.

უცხოეთის პოლიციასთან შეტაკების დროს მოკლულია ერთი ჩინელი. ბევრია დაჭრილები.

მდგომარეობა იმდენად სერიოზულია, რომ ინგლისის კონსულმა წინადადება მისცა ყველა ინგლისელს ჩასხდნენ გემში და დაუყოვნებლივ დასტოვონ ჩენ-ძინი.

მოლაპარაკება ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

პეკინი, 9 ივლისი. ჯერ კიდევ არ დაწყებულა მოლაპარაკება ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრსა და დიპლომატიურ კორპუსს შორის.

იუწყებიან, რომ ჩინეთის მთავრობა თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება შანხაიში მომხდარ ამბების შესახებ და არ აღძრას ამჟამად ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხი. სახელმწიფოები აღუთქვამენ გააფართოვონ მოლაპარაკება განზრახულ საბაჟო კონფერენციის შესახებ.

ინგლისის რწმუნებულის ნოტა

პეკინი, 9 ივნისი. ჩინეთის პრესის ცნობით ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა ჩინეთში მიმართა ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს პროტესტით ფინ-იუს-აინის სიტყვების და დეპეშების წინააღმდეგ. ფინ-იუ-სიანის გამოსვლები, მისი აზრით, ეწინააღმდეგება ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულებას და ლახავს ინგლისის ინტერესებს ჩინეთში, ვინაიდან იგი წარმოადგენს მოძრაობის წაქეზებას ინგლისის წინააღმდეგ.

ატმოსფერა ისევ დამძიმდა

პეკინი, 9 ივლისი. ჩჟან-ძო-ლინის ახალ გეგმების შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, პეკინში მდგომარეობა ისევ რთულდება.

იუწყებიან, რომ ჩჟან-ძო-ლინი მხარს უჭერს ახალ კაბინეტის შედგენას ლიანში-გუი მეთაურობით დუან-ძი-ჟუის ნაცვლად.

ზოგიერთ წრეებში ფიქრობენ, რომ მოსალოდნელია დიდი ცვლილებანი ახლო მომავალში.

მდგომარეობა ჩინეთში უაღრესად გართულებულია.

ნიუ-იორკი. 9 ივლისი. „ასოშეიტედ პრეს“ იტყობინება კანტონიდან, რომ კანტონის გუბერნატორი [illegible]-ძინი და სამხედრო მინისტრი სუ-სუნ-ჩი ხმების მიხედვით დაჭრილ იქნენ ყოფილ ოფიცრის მიერ. მდგომარეობა უაღრესად გართულებულია.

ატყობინებიან, რომ მთავრობაში მომხდარ განხეთქილების გამო ქალაქის განაპირა უბნებში სწარმოებს ბრძოლა. უცხოელების ყველა სახლები დაკეტილია.

მოძრაობა უცხოელების წინააღმდეგ გაძლიერდა.

ბაგპოაში ჩავიდა ჩინეთის სამი სამხედრო გემი.

გაიძვერული პოლიტიკა.

ბერლინი, 9 ივლისი. ამსტერდამის ინტერნაციონალი თავის პასუხში მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტისადმი, რომელმაც წინადადება მისცა მას საერთო ძალ-ღონით დახმარებოდენ ჩინელ მუშებს, აღნიშნავს, **რომ წინასწარ საჭიროა შევეკითხოთ ჩინეთის პროფკავშირებს, არის თუ არა სასურველი და აუცილებელი დახმარება?**

ომი მაროკოში

პარიჟი. 9 ივლისი. „ჰავასის“ სააგენტო იუწყება საფრანგეთის ჯარებმა წაართვეს მოწინააღმდეგეს რამდენიმე სოფელი ქერგის დაბლობზე. რიფების წყაროების ცნობით მეამბოხეები ჰკარგავენ ყოველ შეტაკების დროს.

კამათი დეპუტატთა პალატაში.

პარიჟი, 9 ივლისი. საკითხმა მაროკოში სამხედრო ოპერაციებისათვის 383 მილიონი ფრანკის კრედიტის გახსნის შესახებ გაცხარებული კამათი გამოიწვია დეპუტატთა პალატაში.

კრედიტების გახსნის წინააღმდეგ გაილაშქრა კომუნისტმა დეპუტატმა კაშენმა, რომელმაც განაცხადა, რომ ეს კრედიტები არის მხოლოდ საბაბი კიდევ უფრო მეტი ხარჯების გასაწევად მომავალში.

მან მოიგონა პალატის მიერ მიღებული ორი რეზოლიუცია, სახელდობრ—პირველი, რომელიც მოითხოვდა რიფების დამოუკიდებლობას, მეორე, რომელიც მოითხოვდა ზავის ჩამოგდებას.

„მას შემდეგ—განაცხადა კაშენმა—მთავრობას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს ამ მიმართულებით, აჯანყებულ ტომთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. საფრანგეთის ამ პოლიტიკას მუშათა კლასი უპირდაპირებს სხვა პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრულია პარიზის რაიონის მუშათა კონგრესის რეზოლიუციებში.

ეს რეზოლიუციები მოითხოვენ მაროკოსათვის დამოუკიდებლობის მონიჭებას და მაროკოს ევაკუაციას. მუშებმა გადასწყვიტეს ყოველგვარი ძალ-ღონე იხმარონ ამ მიზნის მისაღწევად. **თქვენ შეგიძლიათ ჩვენს წინააღმდეგ მიიღოთ რეპრესიული ზომები, მაგრამ თქვენ ვერ შეაჩერებთ მოძრაობას“.**

კაშენის შემდეგ გამოვიდა პოლკოვნიკი ფაბრი (პუანკარეს მთავრობის ყოფილი მინისტრი)და მოითხოვდა ომის განგრძობას და რეპრესიულ ზომებს კომუნისტების წინააღმდეგ.

სოციალისტმა კლოზელმა განაცხადა: „რათა ბოლო მოეღოს შექმნილ მდგომარეობას მაროკოში, უნდა შეიცვალოს ადმინისტრატიული მეთოდები“.

მაჰმადიანები იმპერიალისტების წინააღმდეგ

მოსკოვი, 10 ივლისი. კომინტერნმა მიიღო ირკუტსკის მაჰმადიანებისაგან დეპეშა, რომელშიაც ისინი ირკუტსკის მაჰმადიანთა სახელით აცხადებენ პროტესტს იმ სისხლის მღვრელი ამბების გამო, რომელთაც ადგილი აქვთ ჩინეთში და მაროკოში.

ბულგარეთში

ცანკოვის შურისძიება

ვენა. 9 ივლისი. 7 ივლისს ბულგარეთში მოკლულ იქნა ცანკოვის მთავრობისადმი მტრულად განწყობილი ორი ჟურნალისტი. ერთი მათგანი—გიორგი კოსტოვი მკვდარი იპოვეს სოფიის ციხის კამერაში მეორე,—მიხეილ დონოვსკი, გლეხახალგაზრდათა კავშირის მემარცხენე ფრთის ბელადი, მოკლეს ტატარბაზარჯიკში, სადაც ის უნდა დაქორწინებულიყო.

[illegible], 9 ივლისი, საკასაციო სასამართლომ სოფიაში დაამტკიცა სამხედრო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სახელმწიფო ღალატისათვის პოლკოვნიკ მილტენოვის და 8 სხვა ბრალდებულის მიმართ. მილტენოვს, მაიორ მილიანოვს, კაპიტან კროტნევს, ანგელოვს, კუტ[illegible]ევს და პეტროვს მისჯილი აქვთ სიკვდილით დასჯა. ტენჩევს 8 წლის ციხე, მელჩეკოვს 4 წლის.

ცანკოვი სისხლით ვერ ძღება

ვენა, 9 ივლისი. ბულგარეთის ქალაქ კარლოვოში აღმოჩენილ „შეთქმულების“ საქმის გამო ფილიპოპოლის **სამხედრო** სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა კემენჩეჯიევს, ივანოვს, კოლიევს, დიმანოვს, ეკოვს, ტირანოვს, ხურასანოვს, კელისაროვს, პალასევს, ბადრაშიევს და ჩერნოვს. დანარჩენ 15 ბრალდებულს მიესაჯათ ციხეში დაპატიმრება 2 ნახ.—8 წლამდე.

აღმოსავლეთი

ინდოეთში

რას მოითხოვენ ინდოელი ნაციონალისტები

ლონდონი, 9 ივლისი. ინდოეთის პრესა საერთოდ იმედგაცრუებულია ლორდ ბირკენხედის განცხადებით, რომელიც შეეხებოდა პოლიტიკას ინდოეთში.

ინდოეთის საკანონმდებლო კრებების წევრებმა—სვარაჯისტებმა (ნაციონალისტებმა) გოოვანიმ, სატამენტიი და ჩამაპლალმა, რომლებიც ამჟამად იმყოფებიან ლონდონში, გამოაქვეყნეს პრესაში განცხადება. განცხადება შეეხება ლორდ ბირკენხედის მოწოდებას ლოიალური თანამშრომლობის ახალ პერიოდისაკენ და აღნიშნავს: **თუ ინდოეთის თანამშრომლობას ადგილი არა აქვს ამჟამად, ეს იმიტომ, რომ შეუძლებელია ასეთი, რომ ეხლანდელი მართვა-გამგეობის სისტემის დროს, ლორდი ბირკენხედი და რიდინგი** (მეფის მოადგილე ინდოეთში) ემხრობიან არაფრის კეთების პოლიტიკას ჩვენს პროგრამას უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ყველა საარჩევნო ორგანოების ხელში ჩაგდება. ჩვენ **უნდა დავრაზმოთ ინდოეთის მუშები და გლეხები ყვლეფა ინგლისის მთავრობის ფეხეში ძალიან დახმარებით მოკლებულია ყოველგვარ მორალურ საფუძველს“.**

საუბარი აბდ-ელ-ქერიმთან

საფრანგეთის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ ორგანოში („ლიუმანიტე“, 25 ივნისი) მოთავსებულია ინტერვიუ, რომელიც მისცა აბდ-ელ-ქერიმმა იტალიანურ გაზეთის „პოპოლო დ'ილალია“-ს კორესპონდენტს. ვინაიდან ის ფარდას ხდის მაროკოში მიმდინარე ომის ისტორიის ზოგ საიდუმლოებით მოცულ მხარეებს, ჩვენ მოგვყავს ის ცოტაოდენი შემოკლებით.

ესპანელების განადგურება

აბდ-ელ-ქერიმი იგონებს ომს ესპანელებთან და ღენერალ სილვესტრის ავანტიურას 1921 წელში:

„ასეთი სულიერი ნახტომი შეიძლებოდა გადაეწყვიტა — მხოლოდ ისეთ მთავრობას, რომელსაც არც ერთი გონიერი მრჩეველი არა ჰყავს. ამ ავანტიურამ სერიოზულად შეარყია ესპანეთის თვითმპყრობელობის ტახტი. მთელ ესპანეთში გამეფდა პოლიტიკური არევ-დარევა და ეს დააყრობითი ომი ჩქარა გადაიქცა ისეთ დამღუპველ ავანტიურად, რომლის ტრაგიკულ შედეგს კიდევ ვხედავთ. ანნუალი და არტუიტის მთა; დამარცხება და საშინელი ჟლეტა, საცაა, ღენერალ ბერენგერის სიტყვით ყველაფერი დაჰკარგა ესპანეთმა და მასთან ერთად სახელიც; უედ კრეტის ქვიშიანი უდაბნოები სადაც ჩაიფლენ და ჩაიღუპენ 100.000 კაცი, ზარბაზნები, ჰაეროპლანები და ტყვიის-მფრქვეველები, ერთი სიტყვით ცივილიზაციის მთელი ძალღონე, რაც კი გამოყენებულ იყო ესპანელების მიერ ჩვენი „ველურების“ წინააღმდეგ.—აი ყველა ის შედეგები რაც იგემეს ესპანელებმა ჩვენთან ომის დროს.



აბდ-ელ-ქერიმი

აჯანყებულ რიფების მეთაური.

„როცა ესპანეთს პირველი რაზმები შემოიჭრენ რიფის შუა გულში, მაშინათვე გლოვის ზარი გაისმა მთელ ქვეყანაში. ამას გამოეხმაურენ ყველა ის ტომები, რომლებიც ვერ ურიგდებოდენ აღურიცხველ დამცირებას ხოცვა-ჟლეტას, ესპანელების ბოროტებას. ამას ზედ დაერთო ჩემი და მამაჩემის დაპატიმრება, რომელთა დანაშაულიც მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ხალხს ვუთითებდით ტირანიულ პოლიტიკის შეცდომებზე“.

ოსმალელი და გერმანელი ინსტრუქტორები

კორესპონდენტის შეკითხვაზე ჰყავს თუ არა აბდ-ელ-ქერიმს ჯარში ინსტრუქტორები, მან უპასუხა:

„ჩვენ ჩვენი თავი დაუმარცხებლად მიგვაჩნია ჩვენს ქვეყანაში. ჩემი მებრძოლები გაწვრთნილი და გამბედავები, რომელთა ვაჟკაცობაც თითქმის თავხედობამდისაც კი მიდის, საუცხოოთ შეეთვისენ თანამედროვე ომის მეთოდებს და ამისთვის არა გვჭირდება არავითარი ინსტრუქტორები რომლებიც ესპანელებს [illegible] ოსმალების და ფრანგებს კი—გერმანელების სახით. ჩვენ არა გვჭირდება არც უცხო ინსტრუქტორები და არც ჯარისკაცები. რასაკვირველია, ჩვენ ისე მიამიტები არას დროს არ ვიქნებით, რომ საფრანგეთ-ესპანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს გულზე ხელი ვკრათ მათ, ვინც მოისურვებს ჩვენ დახმარებას და ძმურათ ხელს გამოგვიწვდიან“.

დაუსრულებელი ომი

„მე გეტყვით რომ, თუ ერთ მშვენიერ დღეს მთელ რიფს ბლოკადა შემოარტყას, ჩვენ მაინც შევიძლება სამ წელიწადზე მეტს განვაგრძოთ ომი. ფრანგები და ესპანელები კი თავს იტყუებენ, იმ აზრით, თითქოს ჩვენი დამონება შეიძლებოდეს სურსათისა და სა[illegible] იარაღის შემოტანის ალკვეთით“.

როგორ დაიწყო ბრძოლა საფრანგეთთან

„მე არას დროს არა მქონია განზრახვა, ომი დამეწყო ახალ მტერთან. წინააღმდეგ! როცა მე ესპანელებზე გავიმარჯვე და თითქოს თვით პრიმა დე რივერაც მიხვდა რიფის დაპყრობის შეუძლებლობას, მე თითქმის ყოველთვის ვეძებდი საბაბს, ზავი ჩამომეგდო მადრიდთან.

„დღეს ეს ზავი ჩამოგდებულიც იქნებოდა, რომ პარიზის პოლიტიკანები არ ჩარეულიყვნენ საქმეში და არ აეძულებიათ ესპანელები, უარი ეთქვათ ჩვენთან საზავო მოლაპარაკებაზე.

„აქ სავსებით გამოაშკარავდა საფრანგეთის ზრახვები და მისი დამღუპველი შედეგები.

ესპანეთთან ბრძოლის დროს საფრანგეთი მუდამ გვიცხადებდა თანაგრძნობას და ესპანეთს კი უცქეროდა ღრმა შურით: იმის დამარცხებას ყოველთვის იყენებდა საბუთად, რომ დაემტკიცებინა ესპანეთის სრული უსუსურობა მაროკოს მართვა-გამგეობაში.

„მაგრამ როცა პარიზში ყური მოჰკრეს ესპანელების მიერ ხელის აღებას რიფზე, მაშინ ძველ მედიდურ პოლიტიკის სანაცვლოთ, მათ დაიწყეს შეთანხმების პოლიტიკა იმათთან, ვისაც ცოტა ხნის წინეთ საერთო მტრადა სთვლიდენ, როგორც რიფების, ისე ფრანგებისთვის“.

როგორ ევაჭრებოდენ ერთმანეთს ფრანგები და ესპანელები

„ესპანეთი მოითხოვდა ერთ მილიარდს, რომ დაეთმო რიფზე პროტექტორატის უფლება საფრანგეთისთვის. უკანასკნელმა კი მთელი წელიწადი გააჭიანურა მოლაპარაკება იმ იმედით, რომ ეგება მადრიდს დაეკლო რამე. საფრანგეთის პოლიტიკის ახალმა ორიენტაციამ და ინგლისის ჩარევამაც დააგვიანა ეს ვაჭრობა.

„მაგრამ ამ დროს ჩემი აგენტების წყალობით მე გავიცანი საფრანგეთის ნამდვილი განზრახვანი და გადავსწყვიტე, რომ საქმის ყოველი დაყოვნება—ეს საზარალო იქნება ჩემი ქვეყნისთვის. ამიტომ ვისარგებლე საფრანგეთის იმ კრიტიკული მდგომარეობით, რომელშიაც იმყოფებოდა და ეხლაც იმყოფება. მე გადავსწყვიტე—მეჩვენებინა საფრანგეთისთვის, რომ მუდამ ფხიზლათა ვართ. აქ მოქმედების სრული უფლება მივეცი ყველა იმ ტომებს, რომლებიც საფრანგეთმა გამოაძევა უერგას მარჯვენა მხარეს და რომლებიც მუდამ ელოდენ შურისძიების ხანას.

„ამგვარათ საფრანგეთის არაპირდაპირი პროვოკაცია გადიქცა საბაბათ ახალი ბრძოლისა“.

ადგილობრივ მცხოვრებთა გამოღვიძებას მოჰყვება რიფების რესპუბლიკის აღიარება

„ამჟამად ორივე მხარედან დიდ სამზადისს ვეწევით გადამწყვეტი შეჯახებისთვის. საფრანგეთი და ესპანეთი, როგორც სამხედრო მოკავშირენი ამზადებენ საყოველთაო კონტრ-იერიშს და ჯარების გადმოსხმას სწადიათ. ჩვენ უკვე მოვაწყვეთ ჩრდილოეთ სანაპიროების დაცვა და სამხრეთით კი შევძლებთ განვაგრძოთ იერიში, სადაც საფრანგეთის მიერ დამორჩილებული ტომებიც დიდ მღელვარებაში არიან. ჩემი სიტყვების დასამტკიცებლად კმარა ის მაგალითი, რომ მარშალ ლიოტეს უარი უთხრეს მარაქეშისა და ელაგლაუის ფაშებმა, დაახმარონ ჯარისკაცები ჩემ საწინააღმდეგოდ. ელაგლაუიმ, რომელიც აქნობამდის საუცხოვოდ ემსახურებოდა საფრანგეთს, უპასუხა, რომ ერთ კაცსაც ვერ მისცემს საფრანგეთის შტაბს, რადგან მთელ ჩრდილოეთ აფრიკაში მრავლდება ნიშნები საყოველთაო აჯანყების“.

„ადგილობრივ ტომების გამოფხიზლება, ესპანელების სულით დაცემა, დეზერტირობა მტრის ჯარებიდან, საიდანაც „უცხოელთა ლეგიონი“ თითქმის მასსიურათ გადმოდის ჩვენ მხარეს, ჩვენი დიდი ხნის თადარიგიანი სამზადისი—ყველაფერი ეს, მტკიცე იმედს მიღვიძებს, რომ საფრანგეთ-ესპანეთ-რიფების ბრძოლის გაგრძელების მაგიერ ჩქარა დამთავრდება რიფების რესპუბლიკის აღიარებით“.

ამხ. ლოსსერი

საბჭოთა ნავთის სინდიკატის წარმომადგენელი კანტონში, რომელიც დააპატიმრა ინგლისის პოლიციამ ჩინეთის ტერიტორიაზე.

წითელ რესპუბლიკებში

შინა-მრეწველების საარჩევნო უფლებანი

მოსკოვი. 9 ივლისი. იუსტიციის სახ. კომისარიატმა განმარტება მისცა ყველა ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, რომ შინა-მრეწველები და ხელოსნები, რომელთაც 2 შეგირდზე მეტი არა ჰყავთ [illegible] ყველა [illegible] უფლებებით.

გაუმჯობესებული ბრძოლა მინდვრის მავნეებთან.

მოსკოვი. 9 ივლისი. ავიოქიმის პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება ჩრდილოეთ კავკასიაში ქიმიურ ექსპედიციის მუშაობის შედეგების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ავიოქიმმა გამოიმუშავა გეგმა, თუ როგორ მოაწყოს მომავალ წლებში ბრძოლა ავიაციის შემწეობით მინდვრის მავნეებთან.

საკავშირო ბიუჯეტი

1925—1926 წლისათვის

მოსკოვი. 10 ივლ. 7 ივლისს რიკოვის თავმჯდომარეობით შესდგა საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს სხდომა, რომელზედაც განხილულ იქნა ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი პროექტი წინასწარი საბიუჯეტო გეგმისა 1925—1926 წლისათვის.

მომხსენებელმა რეინგოლდმა აღნიშნა, რომ ფინსახკომის პროექტის მიხედვით ბალანსი ნავარაუდევია 3.460 მილიონ მანეთით, სავალიუტო შემოსავალ-გასავლის გამოკლებით.

საბიუჯეტო გეგმის პროექტის საშემოსავლო ნაწილს შეადგენს ჩვეულებრივი შემოსავალი 3,317 მილიონ მანეთის რაოდენობით და საგანგებო—143 მილიონი მანეთი.

საგასავლო ნაწილს შეადგენს ჩვეულებრივი ხარჯები 3.010 მილ. მანეთის რაოდენობით და საგანგებო —450 მილიონ მანეთის რაოდენობით.

ამას გარდა ორივე ნაწილში ნავარაუდევია განსაკუთრებული ფონდი 100 მილიონი მანეთი, რომლითაც შესაძლებელი იქნება სახელმწიფო ბიუჯეტის გაფართოება დიდი მოსავალის შემთხვევაში.

ამ რიგად სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ბალანსი 1925—26 წლისათვის უნდა იქნეს ნავარაუდევი 8,560 მილიონი მანეთით.

საბჭოთა კავშირის ფინსახკომი **სოკოლნიკოვი** მოხსენების შესავსებათ დასძენს, რომ საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტებს იქნებათ მტკიცე საშემოსავლო ნაწილები, რაც შესაძლებელს გახდის ამ ბიუჯეტების წონასწორობაში მოყვანას.

საერთოდ, განზრახული გადიდებულ იქნეს საკავშირო რესპუბლიკების ბიუჯეტები 200 მილიონი მანეთით.

სოკოლნიკოვი ეხება საგანგებო რესურსების განაწილების საკითხს და აღნიშნავს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში პირველი ადგილი უჭირავს სასოფლო მეურნეობისათვის თანხების გაღებას. ეს იმით აიხსნება, რომ მრეწველობა გადადის და ვადაყვანილი უნდა იქნეს კრედიტებზე.

გადაფრენა მოსკოვი—პეკინი

ურგა-უდეს მიმართულებით

უდა, 9 ივლისი. 9 ივლისს დილის 5 საათზე ადგილობრივი დროით საჰაერო ექსპედიცია სრული შემადგენლობით გაფრინდა ურგიდან უდეს მიმართულებით; გაიარა გობის უდაბნო და იმავე დღეს დილის 10 საათზე ადგილობრივი დროით უდაში ჩაფრინდა 4 აეროპლანი, ვოლკოვოინოვის, გრომოვის, პოლიაკოვის და ნაიდენოვის ხელმძღვანელობით. რამოდენიმე ხნის შემდეგ მიფრინდა ეკატოვიც. გადაფრენა ურგიდინ—უდაში შესრულებულ იქნა ძლიერ მძიმე პირობებში. ქარი და წვიმა აბრკოლებდა ფრენას, მაგრამ მიუხედავად ამისა, აეროპლანებმა გზა ურგიდან უდემდე (506 კილომეტრი) 5 საათში გაიარეს. ტომაშევსკი გაფრინდა ურგიდან ნახევარი საათის დაგვიანებით სხვებზე. ძლიერი ქარიშხალის გამო ის იძულებული შეიქნა დაფრენილიყო უდიდან 200 კილომეტრის მანძილის დაშორებით. დაშვების დროს აეროპლანი მსუბუქად დაზიანდა. აეროპლანი მოკლე ხანში იქნება შეკეთებული.

5.500 კილომეტრი 55 საათში.

უდა, 9 ივლისი. 6 საათზე ადგილობრივი დროით, ექსპედიცია გაფრინდა უდიდან—მაიოტონში. სულ ექსპედიციამ მოსკოვიდან გაიარა 5.500 კილომეტრი, ჰაერში დაჰყო საშუალოდ 55 საათი.

პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციის გასამართლება

პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის მუშაობა

ჯაშუშობა

სხვა მრავალ კონტრ-რევოლიუციონურ მოქმედებასთან ერთად პარიტეტული კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მიზნით ეწეოდა ჯაშუშობასაც.

პარიტეტულ კომიტეტს სრული ცნობები ჰქონდა ქართული წითელი არმიის ნაწილების ბინადრობისა და საომარი მოწყობილობის შესახებ.

სამხედრო ცნობებს პარიტეტული კომიტეტი აგროვებდა თავისი რწმუნებულის—**ი. ნარიკელაძის** საშუალებით.

პარიტეტული კომიტეტის გარდა სამხედრო ხასიათის ცნობებს აგროვებდენ აგრეთვე ცალკე ანტისაბჭოთა პარტიებიც—მენშევიკები და ნაციონალ-დემოკრატები.

ნაციონალ-დემოკრატები მათი რწმუნებულების მიერ შეგროვებულ ცნობებს უგზავნიდენ **ჩოლოყაშვილს**, მენშევიკები კი **ნოე ხომერიკის** და **გოგიტა ფაღავას** საშუალებით გზავნიდენ საზღვარგარედ.

სამხედრო ხასიათის ცნობების შეგროვება სწარმოებდა მაზრებშიაც, სადაც პარიტეტულ კომიტეტს ჰყავდა თავისი რწმუნებულები. ამ უკანასკნელებს სამხედრო ფუნქციების გარდა დავალებული ჰქონდათ კონტრ-დამზვერავი მუშაობაც; ისინი აგროვებდენ ცნობებს ჯარის ნაწილების ბინადრობის, მათი რაოდენობის და მილიციის და საგანგებო დანიშნულების ნაწილების მდგომარეობის შესახებ და აწვდიდენ მათ ცენტრს, საიდანაც ეს ცნობები უკვე ეგზავნებოდა ანტისაბჭოთა პარტიების საზღვარგარეთელ ბიუროს.

ასეთი რწმუნებულები იყვნენ თელავის, სიღნაღის, გორის და დუშეთის მაზრებში. დასავლეთ საქართველოში კი სამხედრო ხასიათის ცნობებს აგროვებდა დასავლეთ საქართველოს კომიტეტი.

აღსანიშნავია ის, რომ ასეთი ცნობების შეგროვების ტეხნიკის გაუმჯობესების მიზნით მენშევიკებმა საზღვარგარეთიდან მიიღეს სპეციალური რადიო-აპარატი, რომლის საშუალებით მათ სამხედრო ცნობები უნდა შეეგროვებიათ მთელს ამიერ-კავკასიაში.

ჩოლოყაშვილი დაწვრილებით გაცნობილი იყო კავკასიის წითელდროშოვან არმიის საიდუმლო ბრძანებებთან, რომლებშიაც აღნიშნული იყო კავკასიის არმიის ყველა ნაწ ლების ბინადრობა.

ამრიგად, საქართველოში შეგრ ვებულ სამხედრო ხასიათის ცნობებ პარიტეტული კომიტეტი გზავნი საზღვარგარეთ, სადაც ქართუ კონტრ-რევოლიუციონური პარტ ბის იქაური ბიურო მათ აწვდი დაინტერესებული სახელმწიფოებ გენერალურ შტაბებს, რომ მათ ჭიროების დროს გაადვილებოდ სამხედრო მოქმედების დაწყება ს ჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკ ბის კავშირის წინააღმდეგ.

ამით მტკიცდება ის, რომ მენშ ვიკები საქართველოში შეიარაღ ბული გადატრიალების მზადებ დროს ეყრდნობოდენ ინტერვენცი და მოქმედობდენ საზღვარგარეთ დან მიღებულ დირექტივების თ ნახმად.

ვინ არის დანიშნული ბრალდებულთა დამცველებად

საქართველოს უზენაეს სასამართლოს კოლეგიის განკარგულებით, დამცველთა კოლეგიის პრეზიდიუმმა თავისი წევრების რიცხვიდან ბრალდებულთა დამცველებათ გამოყო შემდეგი პირები:

1) **მესხიშვილი შალვა,** რომელიც იცავს ბრალდებულ რცხილაძეს, დადიანს და კვირიკაძეს;

2) **ტატიშვილი მიხეილ**—იცავს ბრალდებულ ძაძამიას, შალვა კალანდარაშვილს და ონიაშვილს;

3) **ჯაფარიძე ვანო**—იცავს ბრალდებულ აკაკი კალანდარაშვილს, შენგელიას და გაბლიანს;

4) **მაჭავარიანი იოსებ**—იცავს ბრალდებულ ლაშხიას, ლატარიას და ფიჩხაიას;

5) **გეღაზაროვი**—იცავს ფანცულაიას, ხურციძეს და ესვანჯიას;

6) **ღვამიჩავა მიშა**—იცავს პირველს და ბოკერიას.

7) **ტატიშვილი ანდრია**—იცავ ჩილანიშვილს, მამალაძეს და იოს ლიანს;

8) **გუბელაძე**—იცავს ჩხაიძეს, გოგოლაშვილს და კონსტანტინე ლორთქიფანიძეს;

9) **შალიბაშვილი**—იცავს გიო გაძეს, ნინიძეს და იმნაიშვილს;

10) **ნასიძე**—იცავს ანდრონიკა ვილს, ჯინორიას და ბელთაძეს;

11) **დადიანი**—იცავს ავალიშვილ ნაკაშიძეს და ბერიძეს;

12) **[illegible]**—იცავს ბოჭორი ვილს, ბახტაძეს და ჰანიშვილს;

13) **[illegible]**—იცავს პაპო შვილს, ნაცვლიშვილს და გეგ ქორს;

14) **პოლუმორდვინოვი** — იცა იშხნელს, ხუხუ ხოფერიას და თვა თვაძეს;

15) **ზედგინიძე**—იცავს ცინცაბ ძეს. ქარცივაძეს და კახიანს.

სამუშაო ხელფასის ზრდა

მოსკოვი, 10 ივლისი. 9 ივლისს, შრომის სასახლეში სამუშაო ხელფასის შესახებ მოხსენება წაიკითხა შრომის სახ. კომისარმა შმიდტ ა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის სამრეწველო მუშების საშუალო ხელფასი ამჟამად შეადგენს მშვიდობიან დროის ხელფასის 76 პროცენტს. მიმდინარე და მომავალ წელს ალბათ ამუშავებული იქნება აქნობამდის გაჩერებული ყველა ფაბრიკები და საკმაოთაც იქნებიან დატვირთული. 1926—1927 წლებში ჩვენი წარმოება გადააჭარბებს ომის წინანდელს. წარმოების ასეთი ზრდა უეჭველათ გავლენას მოახდენს მუშათა კლასზე და სამუშაო ხელფასის ზრდაზე. უსაქმოდ დარჩენილ სამრეწველო მუშათა რიცხვი თანდათან მცირდება.

შმიდტმა განსაკუთრებით აღნიშნა კოლექტიური ხელშეკრულების აუცილებლობა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა მასიური მონაწილეობით

ამიერ-კავკასიის ფედერაცია

საქართველო.

ლიტერატურული გასამართლება

ახალ-სენაკი. 10 ივლისი. 9 ივლისს ადგილობრივ თეატრში ფიზკულტურის საზოგადოებამ გამართა ჯავახიშვილის რომანის „ჯაყოს ხიზნების“ გმირის თეიმურაზ ხევისთავის ლიტერატურული გასამართლება.

სასამართლომ თეიმურაზ ხევისთავი გაამართლა.

საექიმო პუნქტი.

თელავი, 8 ივლისი. პანკისის მიყრუებულ ხევში 7 ივლისს გაიხსნა საექიმო პუნქტი, სადაც ქირურგიც არის და ტერაპევტიც, მოწყობილია აფთიაქიც. მცხოვრებლებს ქინაქინა ეძლევათ მუქთად.

თვალის მმოძრავი საექიმო.

თელავი, 8 ივლისი. დღეს თელავში ჩამოვიდა თვალის მმოძრავი საექიმო, რომ უფასო დახმარება აღმოუჩინოს თვალებით დაავადმყოფებულ კახეთის მუშებსა და გლეხებს.

აბრეშუმის დამზადება.

თელავი, 8 ივლისი. ყაჯის დამზადება საუცხოვოთ მიმდინარეობს მარტო თელავის პუნქტი იღებს დღეში 100 ფუთზე მეტს. ყაჯის მოსავალი როგორც ღირსებით, ისე რაოდენობით ძალიან დამაკმაყოფილებელია.

აზერბეიჯანი

ყაჩაღთა ბრბო.

ნუხა, 9 ივლისი. შინაგან საქმეთა სამმართველოს განყოფილების გამგის, ისმაილოვის და ქალაქის მილიციის უფროსის ნაზოკოვის მიერ აღმოჩენილია ყაჩაღთა ბრბოები, რომლებიც მოქმედობდნენ ქალაქში 1923 წ. მაისიდან, ბრბოს ბრალად ედება 25 შეიარაღებული თავდასხმის მოწყობა და ფართოს მაღაზიების გაძარცვა. შეიპყრეს 6 კაცი, რომლებიც დანაშაულში გამოტყდენ. ღამღამობით ყაჩაღთა ბრბოები სძარცვავდნენ მცხოვრებლებს, დღით კი ვაჭრობდნენ თავიანთ დუქნებში და ამავე დროს სარგებლობდნენ მცხოვრებლების პატივისცემით.

პარტიული ცხოვრებ

ქალთა შორის მუშაობა ლეჩხუმის მაზრაში

ლეჩხუმის მაზრაში ქალები კულტურული განვითარების მხრივ ძლიერ ჩამორჩენილი არიან. თუმცა მართალია, ღლიან საქართველოს გასაბჭოებისა ქალთა განყოფილების ადგილობრივი ორგანიზაცია სცდილობს სოფლის დედაკაცები ჩაიბას საზოგადოებრივ საქმიანობაში, მაგრამ მისი მუშაობა მაინც ვერ მიმდინარეობს დიდი წარმატებით, რადგანაც ქალების საკმაო ნაწილი ჯერ კიდევ მოკლებულნი არიან წერა-კითხვის ცოდნას, ჯერაც კი ვერ მიმხვდარან, რომ ისინიც ისეთი თანასწორ უფლებიანი მოქალაქენი არიან, როგორც მამაკაცები. აქ სხვათა შორის, ისიც უნდა ვსთქვათ რომ ჩვენი სოფლის ზოგიერთი კომუნისტები თვითონვე ხელს უშლიან ქალების კარჩაკეტილ ცხოვრებიდან თავის დაღწევის საქმეს. ისინი არ აძლევენ საშუალებას თავიანთ ამხანაგებს, ცოლებს წავიდენ სოფლის საზოგადო კრებაზე. ცხადია ასეთ მოვლენებს ჩვენ უნდა გამოუცხადოთ სასტიკი ბრძოლა.

აი კიდევ ერთი არანორმალური მოვლენაც. როდესაც ეწყობა ქალთა კრებები, იქ ისეთი მომხსენებლები გამოდიან, რომლებიც კარგად არ [illegible] გაცნობილნი სოფლის გლეხქალების გონებრივი განვითარების დონეს. აი ის საუკეთესო საბუთია ის, რომ, როდესაც რომელიმე მომხსენებელი ათავებს თავის გრძელ 3 საათიან მოხსენებას და კრების თავმჯდომარე მიმართავს დამსწრე ქალებს იმის შესახებ თუ ვის აქვს შეკითხვები, ქალები უპასუხებენ: „რომ იქნება პარკის ფული კოოპერ ტივები გვაძლევდეს ისეთ ფართა რომელიც ჩვენ არ გვინდა“-ო სხვა. ამ მოვლენას მაზრის ქალ განყოფილების მიერ უთუოდ უნ მიექცეს სერიოზული ყურადღებ ქალებში მოხსენებები უნდა ჩაატა როთ საუბრების სახით, ეს ერთ და მეორეც ის, რომ მომხსენებ უნდა შეიკავდნენ უაღრესად საჭირ ბოროტო საკითხებ.. რომ ამით დ ვაინტერესოთ, მივიზიდოთ ქალებ და გავხაროთ მათში თვით ინ ციატივა. არაა მაინცა და მაინც ს ჭირო, რომ კრებაზე ქალების ყურ დღება დავამძიმოთ ჩინეთის, მარ კოს ამბებით ან და ჩემბერლენის ბოიანის პოლიტიკით, თუ კი ამ შესახებ არ იქნება გამოთქმული ს რვილი თვით დამსწრე ქალების უ რავლესობის მიერ. ცეკასთან არს ბულ ქალთა განყოფილებას შეუძლ ეს ნაკლი გამოასწოროს თავისი სტრუქტორების ლეჩხუმის სოფ ბის ხშირ-ხშირად გაგზავნით. ხოლ ადგილობრივი ქალთა განყოფილე ბის გამგე თავის მხრივ უნდა დოს უფრო მეტი ცოცხალი კავშ რი იქონიოს თავის ქვემდგომ რაიონებთან და თემებთან. ამასთა ნავე ერთად საჭიროა გაიხსნენ მ იქნეს ადგილობრივი მასწავლებლ ბაც, რომლებიც დიდათ ხელს შ უწყობენ ქალთა შორის მუშაობის გ მოცხოველებას.

კ.—ია

ს. შამგონის კომუჯრედი

(ზუგდიდის მაზრა)

ს. შამგონის კომუჯრედში ირიცხება 10—12 პარტიის წევრი, თითქმის ყველა ეს ამხანაგები ძველი პარტიული ამხანაგები და საუკეთესო მუშაკებია.

ხსენებული კომუჯრედი მთელ მაზრაში ერთი იმ უჯრედთაგანია, რომელშიაც პარტ-მუშაობა მიმდინარეობს ნორმალურად. ხშირად იმართება ღია კრებები, რომლებსა ბლომად ესწრებიან უპარტიო გლეხები, კრებებზე კეთდება მოხსენებები ადგილობრივ საჭირ-ბოროტო საკითხებზე.

პოლიტ-მეცადინეობა მიმდინარ ობს უჯრედის მიერ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით. მეცადინეობას წრებიან უპარტიო ამხანაგებიც.

თვეში ერთხელ ეწყობა აგრეთ გაერთიანებული კრება სახერხ-ქა ხნის მუშებთან ერთად.

ადგილობრივად თემალმასკომ არ არსებობის გამო, გლეხობას ტად ხელს უშლის მიიღოს მონა ლეობა საზოგადოებრივ მუშაობა როგორც ეს საჭიროა. ამას უნ მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

ე. წ—ია.

ორშაბათს, 13-ივლისს, დილის 12-საათზე, ქ. თბილისის აღმასკომის დარბაზში დანიშნულია

თბილისის აღმასკომის პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1) თბილისის საბჭოთა ყრილობის და მის ორგანოთა დებულების პროექტის განხილვა.
2) სამგორის არხის მოწყობის შესახებ,
3) მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე

1470—2—1 **პრეზიდიუმი.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამმართველო

აცხადებს

რომ მგზავრების მიმოსვლის გასაადვილებლად ბაკურიანის შტოზე 11 ივლისიდან დანიშნულია მესამე წყვილი მატარებელი № 60 და 61 (ბორჯომ ბაკურიანი) შემდეგი ცხრილის მიხედვით:

მატ. № 61	გადის ბორჯომიდან	15 საათ.	55 წ.	ყოველდღე
	მიდის ბაკურიანში	19 „	15 „	„
მატ. № 60	გადის ბაკურიანიდან	20 „	45 „	„
	მიდის ბორჯომში	24 „	10 „	„

შენიშვნა: მატ. № 61 შეთანხმებულია ბორჯომში ბორჯომის შტოს მატარებელთან № 58, ხოლო უკანასკნელი ხაშურში თბილის-ფოთის ხაზის მატარებელთან № 10. მატარებელი № 60 შეთანხმებულია ბორჯომში ბორჯომ-თბილისის ხაზის მატარებელთან № 19. მიმოსვლა—მოსკოვის დროით.

1—1 ბ. 1478

ავიაციის დღისათვის

ყველა მშრომელთადმი

საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება და ქიმიური თავდაცვის და მრეწველობის საზოგადოება, რომლებიც წინათ ცალ-ცალკე მუშაობდნენ, ეხლა უკვე გაერთიანდენ ერთ საზოგადოებაში—„ავიაქიმ“-ში. ამ ორი საზოგადოების გაერთიანება გამოწვეულია იმით, რომ მიზნები, რომლისათვისაც ისინი იყვნენ მოწყობილი, ერთი და იგივეა—ხელის შეწყობა ქვეყნის თავდაცვისა და ავიაცია-ქიმიის გამოყენება სახალხო მეურნეობაში.

ამჟამად „ავიაქიმში“ უკვე ითვლება 9.000.000 ერთგული მეგობარი საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისა. მაგრამ ეს საკმაო არ არის. „ავიოქიმი“ მიზნათ ისახავს—მისწვდეს ჩვენი კავშირის მიყრუებულ კუთხეებს და შორეულ სოფლებს, რათა საბჭოთა მიწა-წყლის თვითეულმა მუშამ და გლეხმა იცოდეს, თუ რას ემსახურებიან ავიაცია და ქიმია მშვიდობიან აღმშენებლობის დროს და რა სარგებლობის მოტანა შეუძლიათ მათ მშრომელებისათვის საბჭოთა კავშირის თავდაც[illegible] კაპიტალისტების თავდასხმის დროს.

ათი და ასი ათასი [illegible] ნათესებისა ნადგურდება [illegible] სხვადასხვა [illegible] მშრომელ გლეხობის, [illegible] მავნებლებისაგან. ადგილებ[illegible], [illegible] ჩნდებიან მავნებლები, ზოგჯერ შეუწყდომელი არიან და ჩვეულებრივი საშუალებით ბრძოლა მათთან არ შეიძლება მიწის უნაყოფობას, [illegible] [illegible], ჩიადაგის ქიმიურად გაუკეთილებლობას, [illegible] და სხვა სტიქიურ უბედურებათ ყოველ წლობით მილიარდობით ზარალი მოაქვთ გლეხის მეურნეობისათვის. საბრძოლველად ამ უბედურებათა წინააღმდეგ, რომელთაც [illegible] ხელებით ვერის დაადგენ, სა[illegible] მეცნიერებისა და ტეხნიკის,—პირველ რიგში ავიაცია-ქიმიის—მობილიზაცია, ვინაიდან ავიოქიმი გვასწავლის როგორ გამოვიყენოთ ავიაცია და ქიმია, რათა მათ მეტი სარგებლობა მოგვცენ მშვიდობიან აღმშენებლობაში. ჩვენი ქვეყნის სიღარიბე გვაიძულებდა გვეყიდა აეროპლანები, მატორები და ქიმიური საშუალებანი უცხოეთში. ამ საქმეში ძალაუნებურად დამოკიდებული ვიყავით უცხო კაპიტალისტებისაგან. „ავიაქიმი“ მიზნათ ისახავს გაგვანთავისუფლოს ამ დამოკიდებულებიდან; გაუწიოს დახმარება სახელმწიფოს საკუთარი ავიაციისა და ქიმიურ მრეწველობის განვითარებაში, რათა ჩვენმა ფაბრიკა-ქარხნებმა დაგვიმზადონ ჰაეროპლანები და ქიმიური ნივთიერებანი. მშრომელ მასის გაერთიანებული ძალღონით, იმ საშუალებებით, რომლებიც მათ შეაქვთ „ავიოქიმში“, ჩვენ უკვე დავიწყეთ შენება ჰაეროპლანების და საბჭოთა მატორებისა. ჩვენ ვამაგრებთ და ვაფართოვებთ საბჭოთა ქიმიურ მრეწველობას და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ახეთი დახმარებით მომავალში აღარ ვიქნებით დამოკიდებული უცხოეთისაგან.

ცნობები, რომლებსაც ყოველდღიურად ვიღებთ საზღვარ-გარეთიდან, მოწმობენ თუ როგორ გაფთრებით აიარაღებენ თავის ჯარებს კაპიტალისტები, აიარაღებენ ტეხნიკურად ქმნიან ძლიერ საჰაერო ფლოტს და ანვითარებენ ავიაციას და ქიმიურ მრეწველობას, ამუშავებენ გაზებს. ხალხის მასიური ამოჟლეტისათვის მიუხედავად ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკისა, თუ მტერი თავს დაგვესხა—ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, უნდა შევხვდეთ მას შეიარაღებული, რათა დავიცვათ ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარი; ავიოქიმის [illegible] მუშურ-[illegible] ხელისუფლებას საზოგადო[illegible] ორგანიზაციებში გაერთიანებულ მშრომელი მასის ძალით და საშუალებით, შექმნას ძლიერი სამოქალაქო და სამხედრო საჰაერო ფლოტი, შექმნას სამეურნეო [illegible] [illegible] ქიმია.

[illegible] მუშამ და გლ[illegible] კარგად უნდა იცოდეს და ახსოვდეს, რომ რაც ძლიერი იქნება ჩვენი საბჭოთა სამხედრო საჰაერო ფლოტი, რამდენადაც ძლიერი იქნება ჩვენი ქიმიური მრეწველობა, რაც უფრო ფართოდ გავრცელდება საავიაციო და ქიმიური ცოდნა, მით [illegible] მსხვერპლის გაღება [illegible], მით უფრო საიმედო იქნება ჩვენი გამარჯვება მტრებზე, მით უფრო უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი მშვიდობიანი შრომა.

ძამ ვაშენოთ წითელი საჰაერო ფლოტი და განვამტკიცოთ ჩვენი საბჭოთა საავიაციო და ქიმიური მრეწველობა.

გაუმარჯოს საბჭოთა ავიაციისა და ქიმიის მეგობრებს, მის მუშაკებს და მშენებლებს.

საკავშირო „ავიოქიმი“-ს თავმჯდომარე ა. ი. რიკოვი.

საქართველოს საჰაერო ფლოტის და ქიმიის მეგობართა საზოგადოებების მუშაობა

ს. ფ. მ. საზოგადოება.

საქართველოს ს. ფ. მ. საზოგადოება დაარსდა 1923 წლის 24 აგვისტოს. ორი წლის განმავლობაში მან შესძლო შემოეკრიბა 45.000 წევრი; თავის საქმიანობა გარდა ცენტრისა, მან გადაიტანა საქართველოს ყველა მაზრებში, სადაც ფართოდ აწარმოებდა საავიაციო მუშაობას. საქართველოში დაარსებულ იქმნა 30-ზე მეტი საავიაციო კუთხე, 500-მდე უჯ[illegible] 40-მდე საჰაერო სასპორტო [illegible], გახსნილ იქნა ხუთთვიანი ავიოკურსები, რომელიც გაიარა 80 კაცმა.

განვლილ დროის განმავლობაში მთელ საქართველოში წაკითხულ იქმნა 450 ლექცია-მოხსენება ავიაციის შესახებ.

საავიაციო სასპორტო წრეებში ირიცხება 1000 წევრამდე, რომლებიც ეწევიან მოდელებისა და პლანერების აშენებას. მოსხდარ 7 სამოდელო შეჯიბრებაზე გამოირკვა, რომ საქართველოს მოდელისტებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ მთელ საბჭოთა კავშირში.

საქ. ს. ფ. მ. [illegible] შეიძინა [illegible] 32.000 მანეთად. აეროპლანი გადაეცა ლენინის სახელობის პირველ საჰაერო რაზმს მოსკოვში—სახელწოდებით „თბილისის მუშა“. გარდა ამისა გაგზავნილია ბეთ 8.000 მანეთი ასეთივე სახის აეროპლანის შესაძენათ კავკასიის წითელდროშოვან არმიისათვის.

ს. ფ. მ. საზოგადოებამ გამოსცა ქართულ ენაზე რამოდენიმე ბროშიურა მფრინავ ხეჩინოვისა და ვალენის. ამასთანავე გამოშვებულია მოწოდებანი და პლაკატები 50.000 ეგზემპლიარის რაოდენობით.

ქიმიის მეგობართა საზოგადოება

ქიმიის მეგობართა საზოგადოების საქმიანობა არსებობის ერთ წლის განმავლობაში გამოიხატა შემდეგში: წევრთა რაოდენობამ მიაღწია 8000-დის, ხუთთვიანმა ქიმიურმა კურსებმა გამოუშვა 100 კაცზე მეტი და ამასთანავე წაკითხულ იქმნა 50-ზე მეტი ლექცია და მოხსენება.

ს. ფ. მ. ს. და ქ. მ. ს. გაერთიანების შ[illegible]

აღნიშნული საქმიანობა ამ ორი ორგანიზაციისა ეკუთვნის მათი ცალცალკე არსებობის პერიოდს. ამ ორი [illegible] გაერთიანების შემდეგ [illegible] საზოგადოებათა „ავიოქიმის“ მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა და გაძლიერდა.

ბრძანება

ქ. თბილისისა და მისი მიდამოების გარნიზონისადმი

№ 52.

10 ივლისი 1925 წ. ქ. თფილისი.

გარნიზონის უფროსმა ბრძანა:

I

12 ამა ივლისს, დღის 11 საათზე „ავიაქიმი“-ს დღესასწაულის გამო, ქალაქის ოთხ ადგილას, სახელდობრ: ნაძალადევში, რუსთაველის პროსპექტზე, პლეხანოვის პრ. და კახეთის მოედანზე მოხდება ფუჭი ვაზნებით სროლა ჰაეროპლანებზე, რომლებიც იერიშს მოიტანენ ქალაქზე.

რადგან ბევრ[illegible] ჰქონია ადგილი ზოგიერთი პირების მიერ თვითნებურ სროლას ამ[illegible] შემთხვევაში, ცხადდება ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ყოველგვარი თვითნებური სროლა სასტიკად აკრძალულია.

ის პირები, რომლებიც შემჩნეულ იქნებიან ამ ბრძანების დარღვევაში, დაუყოვნებლივ დაპატიმრებულ იქნებიან და მიიცემიან პასუხისგებაში.

II

ქალაქის მილიც. უფროსს ევალება სასტიკად ადევნოს თვალყური ამ ბრძანების შესრულებას.

ქ. თბილისისა და მისი რაიონების კამენდანტი აბაშიძე.

ქაღალდის მრეწველობის მოწყობა საქართველოში

ერთი კვირის წინად თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის ქაღალდის მრეწველ ორგანიზაციათა ბიუროს მიერ გამოგზავნილი კომისია რომლის დანიშნულებაც არის შეისწავლოს და გამოიკვლიოს ა.-კ. ქაღალდის ბაზრის ტევადობა და საერთოდ ქაღალდის მრეწველობის ორგანიზაციის საკითხი საქართველოში. კომისია უკვე შეუდგა მუშაობას. წინასწარი ანგარიშით ა.-კავკასია ხმარობს 500—600 ათას სხვადასხვა ხარისხის [illegible] წიგნის გამომცემლობის ზრდასთან ერთად კომისიის ვარაუდით გაიზრდება აგრეთვე ქაღალდის მოხმარებაც და ამ მოკლე ხანში იგი მიაღწევს ერთს მილიონ ფუთს წლიურად. გამოდის რა ამ მოსაზრებით, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ქაღალდის ისეთი წარმოების მოწყობა, რომელიც მისცემს წლიურად ერთს მილიონ სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს და კარტონს.

მეორე საკითხი, რომელიც გამოსარკვევი აქვს კომისიას, არის განზრახული წარმოების შერჩეული ხეტყით (განსაკუთრებით ფიჭვის და ნაძვის ხე-ტყით) უზრუნველყოფა. ამჟამად კომისია ეცნობა საქართველოს ტყეების შემადგენლობას და მათ მდებარეობას იმ მასალების მიხედვით, რომელიც საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აქვს. ს. მ. უ. ს. უკვე გამონახული აქვს ადგილები ქაღალდის ქარხნების ასაგებად.

განზრახულია ქაღალდის წარმოება მოეწყოს ქუთაისის და სამტრედიის რაიონებში და აგრეთვე მდინარე ენგურზე.

ქუთაისის რაიონი არჩეულია იმ მოსაზრებით, რომ შესაძლებელი გახდება აქ ასაგები ელექტრო-სადგურის ენერგიის გამოყენება. წარმოებას დასჭირდება წლიურად 25 მილიონი კილოვატ საათი, რის გაცემაც ყველაზე იაფად შეუძლია მხოლოდ ისეთ სადგურს, რომელიც რიონზე უნდა გაკეთდეს. მეორე მხრივ ქუთაისის რაიონში ადვილი გამოსაყენებელი იქნება აგრეთვე ტყვიბულის ქვანახშირი. კომისია ტყის რაიონებთან დაახლოებით გაცნობის მიზნით, გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანია

კამპანიის მიმდინარეობა

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ამიერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში აცნობეს შემდეგი:

— დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვა დამთავრებული იყო ჯერ კიდევ წარსული თვის შუა რიცხვებში. ამჟამად უკვე შედგენილი და წარდგენილია ცენტრში დასამტკიცებლად აღრიცხვის სამაზრო ცნობები.

ვინაიდან ზოგიერთ მაზრებში შემჩნეული იყო აღრიცხვის ცნობების შეუთანაბრობა წარსული წლის საკონტროლო ცნობებთან გლეხთა მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, რომლებიც (ცნობები) აქვთ საგადასახადო ორგანოებს, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და სტატისტიკურ სამმართველოს, ადგილებზე დაიწყო შემდგარი სიების შემოწმება, რომელიც ჯერ კიდევ არ დამთავრებულა.

შემოწმება ხდება ადგილობრივ სახნავი მიწების და დაბეგვრის სხვა ობიექტების ფაქტიური რაოდენობის დამორკვევის გზით.

ამ შემოწმების წინასწარი შედეგების მიხედვით შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ დიდ განსხვავებას შემოაღნიშნულ საკონტროლო ცნობებთან ადგილი არ ჰქონება. გამონაკლის[illegible] შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ მახვილფეხა საქონელი და ძვირფასი კულტურები, რომლებიც დააზარალა სუსხიანმა ზამთარმა.

სიების შესამოწმებელი მუშაობა ჩვენ მიერ გათვალისწინებული იყო და ამიტომ ის, მიღებული ზომების წყალობით, არ შეაფერხებს კამპანიის მსვლელობას.

საგადასახადო ორგანოები ამჟამად მთავარ ყურადღებას აქცევენ დაბეგვრის ობიექტების გადაყვანას სახნავ მიწების ერთეულებზე გადარიცხვისათვის დაწესებულ ნორმების მიხედვით. ამ მიმართულებით წარმატებით მუშაობენ სამაზრო და, სადაც არის, სათემო საგადასახადო კომისიები.

უნდა აღინიშნოს, რომ სათემო კომისიები ჯერ კიდევ არ არის ყველგან შექმნილი. ეს აიხსნება იმით, რომ თვით სათემო აპარატი ჯერ კიდევ არ არის სავსებით ჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ საგრძნობია ადგილებზე მუშაკების ნაკლებობა. ამ მოვლენას დროებითი ხასიათი აქვს.

მიუხედავად გაღებულ კრედიტების სიმცირისა, და აგრეთვე მიუხედავად იმისა რომ დაგვიანებულმა საველე მუშაობამ რამოდენიმედ შეაფერხა მუშაობა, ამიერ-კავკასიის ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში დარწმუნებულია, რომ კამპანიის მთელი ფორმალური მხარე, როგორიც არის, მაგალითად, დაბეგვრის ობიექტების გადაყვანა სახნავ მიწების ერთეულებზე, გადასახადის განაწილება, საგადასახადო ფურცლების შევსება და ჩაბარება გადამხდელებისათვის და სხვა, შესრულებული იქნება ივლისის ბოლო რიცხვებისათვის, რის შემდეგაც [illegible] მუშაობა გადასახადი[illegible]

აბრეშუმის დამზადების კამპანია

სამეგრელო

სენაკის მაზრაში წელს აბრეშუმის მოსავალი საშუალოა. აბრეშუმის პარკის შესყიდვას აწარმოებენ კოოპერატიული ორგანიზაციები. აბრეშუმის შემსყიდველი პუნქტები არის აბაშასა, სენაკსა, ბანძასა და მარტვილში. პირველ ხარისხის აბრეშუმში გლეხები ღებულობენ 18 მანეთს, მეორე ხარისხში—17 მანეთს.

ქვემო იმერეთი

აბრეშუმის პარკის კამპანია გაცხოველებულია. 7 ივლისამდე საწყობებში შეგროვილია სამოცდა თხუთმეტი ათას ხუთას ფუთამდე აბრეშუმის ნედლი პარკი. აქედან ქვემო იმერეთში შეგროვილია 26 ათასი ფ., ოზურგეთის მაზრაში—18.800 ფუთი, სენაკის მაზრაში—9,500 ფუთი, ზუგდიდის მაზრაში—17.200 ფუთი. აბრეშუმის შეყიდვა ზემოხსენებულ მაზრებში გრძელდება.

შემყიდველი პუნქტები მოითხოვენ საჭირო თანხებს შესასყიდი კამპანიის დასამთავრებლად.

აბრეშუმის პარკის დამამზადებელ რაიონებიდან იტყობინებიან, რომ წლე[illegible] მოსავალი საუკეთესო ღირსებისა, უმრავლეს შემთხვევაში პირველის ხარისხის არისო.

როგორც წინასწარი ცნობებით სჩანს, წლევანდელი მოსავლის რაოდენობა მიაღწევს მშვიდობიანი დროის დონეს.

გურია

აბრეშუმის პარკის შესასყიდი ცენტრი არის ოზურგეთი, სადაც ყოველდღიურად მოაქვთ არა უმეტეს 100—120 ფუთი პარკისა. ოპერაციების გაფართოება მოსალოდნელია ივლისის 15-დან, როცა ყველა რაიონებში დამთავრდება აბრეშუმის დაპარკება. მიმდინარე წელს შესაყიდ ოპერაციებს აწარმოებს საზ. „აბრეშუმი“. ამუშავებული იქნა აგრეთვე პარკის სახმობი ფარდულები, სადაც ჯერჯერობით მუშაობს 50 ქალი. მომავალი კვირიდან ეს რიცხვი გაორკეცებული იქნება. მეაბრეშუმის პარკის მოსავალი და ღირებულება ოზურგეთის მაზრაში საშუალოზე მაღალი არის.

ახალი გზატკეცილები

მიმდინარე წლიდან თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება იწყებს ახალი გზატკეცილების გაყვანას და ძველი გზების შეკეთებას თბილისის მაზრაში. გეგმა უკვე დამუშავებულია. ახალ და შესაკეთებული გზების საერთო სიგრძე იქნება—230 ვერსი, დაჯდება—642.690 მანეთი.

სიღნაღის გზატკეცილი.

შესაკეთებელ და ახლად გასაყვან გზატკეცილებში პირველ რიგში სდგას სიღნაღის გზატკეცილი, რომელსაც დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს.

61 ვერსის სიგრძეზე თბილისიდან კაკაბეთამდე გზა გაივლის მხოლოდ ორ სოფელზე, გვერდზე სტოვებს მარტყოფის, საგარეჯოს და სართიჭალის რაიონის სოფლებს, რომელთა მოსახლეობის საერთო რაოდენობა 30 ათასს აღწევს. კეთილმოწყობის განყოფილებას განზრახვა აქვს ამ გზატკეცილს მისცეს სხვა მიმართულება და 32 ვერსის სიგრძეზე გაატაროს იგი სართიჭალა-კაკაბეთით პატარძეულ-საგარეჯოზე. ამ ვარიანტით გზატკეცილი გაივლის მჭიდროთ დასახლებულ რაიონებში, და სამსახურს გაუწევს თბილისის მაზრის 9 სოფელს. მეორე ახალი ვარიანტით ორხევი-მარტყოფის გზატკეცილმა უნდა შეაერთოს მარტყოფის რაიო[illegible] [illegible]ილისთან.

ამ ვარიანტით ახალი გზის სიგრძე იქნება 17 ვერსი.

ალბულალის გზატკეცილი

ალბულალის გზატკეცილი, რომელიც თბილისს აერთებს ალბულალის და ასურეთის რაიონებთან, ათი ვერსის მანძილზე უკვე შეკეთებულია და გამოსადეგია სამგზავროთ, დანარჩენი 22 ვერსის შეკეთება დამთავრდება მომავალ საბიუჯეტო წელში.

მანგლის-თბილისის გზატკეცილი.

დიდ მნიშვნელობას აძლევს აღმასკომი გზატკეცილის შეკეთებას მანგლისიდან სოფელ მარმაკსიზამდე, ეს გზა წალკის რაიონის 31 ათასიან მოსახლეობას აერთიანებს თბილისთან.

მომავალი წლიდან ეს გზატკეცილი გაგრძელებული იქნება ახალქალაქამდე და ამგვარად ახალქალაქს გააერთიანებს თბილისთან.

თიანეთის გზატკეცილი

თიანეთის გზატკეცილი თითქმის სრულიად განადგურდა, რის გამოც მისი აღდგენა პირველ რიგში სდგას.

სოფლებს დაევალებათ მხოლოდ სასოფლოთშორისო საურმე გზების შეკეთება, დანარჩენი სამაზრო მნიშვნელობის გზატკეცილების შეკეთებას თავის ხარჯზე კისრულობს თბილისის აღმასკომი.

ავანსების გაცემის წესი

ცირკულიარულად

ყველა სახალხო კომისარიატებს და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს

მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ სახელმწიფო დაწესებულებანი და საწარმოონი თავიანთ თანამშრომელთ აძლევენ ხოლმე ავანსებს ჯამაგირის ანგარიშში.

უკანასკნელ ხანებში ამ მოვლენამ მიიღო მასიური ხასიათი, რითაც ირღვევა საბიუჯეტო დისციპლინა; გარდა ამისა, დაწესებულებას თუ საწარმოოს უშუალო განკარგულებისათვის ეძლევა მხოლოდ ისეთი თანხა, რაც საჭიროა სამი განსაზღვრული კატეგორიის ხარჯის დასაფარავად, სახელდობრ: ა) მიმდინარე ხელფასის დასარიგებლად, ბ) სამეურნეო-საოპერაციო ხარჯისათვის ავანსის მისაცემად და გ) საწარმოო კმაყოფისათვის; ხოლო მთლად ნაშთი და სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულებებისა თუ საწარმოოს ყოველგვარი შემოსავალი დაუყოვნებლივ უნდა ჩაბარდეს კასას.

ამის გამო, საქართველოს სოც.-საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო წინადადებას იძლევა:

1. აკრძალულ იქნეს, როგორც საერთო წესი, ავანსის მიცემა ჯამაგირის ანგარიშში, იმ საწარმოოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთათვის [illegible] სახელმწიფო ბიუჯეტზე [illegible] რიგ სახსარზე ან და სამეურნეო ანგარიშზე, აგრეთვე კოოპერატიულ დაწესებულებათა და საწარმოოთა მუშა-მოსამსახურეთათვის.

შენიშვნა: ავანსი შეიძლება გაცემულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში საფაბრიკო, საქარხნო ან ადგილობრივი კომიტეტის შუამდგომლობით იმ პირობით კი, რომ იგი დაფარულ იქნეს ფულის პირველ მიღებისას.

2. ყველა დაწესებულებამ დაუყოვნებლივ უნდა იხმაროს სათანადო ღონისძიება ავანსების დასაფარავად. ამ ავანსების დაფარვისათვის თანამშრომელს ყოველთვის ფულის მიცემის დროს უნდა დაექვითოს სატარიფო განაკვეთის არა უმეტეს ერთი მესამედისა.

3. ანგარიშვალდებულ პირს სამსახურებრივი ავანსი მიეცემა მხოლოდ უკვე მიღებული ავანსის დაფარვის შემდეგ.

შენიშვნა: 1. ის პირი, ვინც თავის დროზე არ დაჰფარავს მიღებულ სამსახურებრივ ავანსს პასუხს აგებს სათანადო წესისამებრ.

შენიშვნა: 2. ანგარიშვალდებული პირი მოვალეა მინდობილი ოპერაცია შეასრულოს დაწესებულებების ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**ს. ჯუღელი.**

საქმეთა მმართველი—**ალ. სალა[illegible]**

1925 წლის [illegible] 10.

ტფილისი—[illegible]

საქართველოს მუზეუმში

საქართველოს მუზეუმის შენობის დასამთავრებლად გადადებულია 60.000 მანეთი.—ტეხნიკური ლაბორატორიების გახსნა.—ურთიერთობა უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან.—ახლო ხანში გაიხსნება გეოლოგიური და ბოტანიკური გამოფენა.—ზოოლოგიური განყოფილების გაფართოება.—მუზეუმის დირექტორის ყიფიანის საზღვარგარეთ მივლინება.

ჩვენს თანამშრომელს საქართველოს მუზეუმში აცნობეს შემდეგი:

საქართველოს მუზეუმის საამშენებლო კომისიამ მუზეუმის შენობის დასამთავრებლად მიიღო 50.000 მანეთი. განზრახულია პირველ რიგში დამთავრებულ იქნეს პირვე[illegible] სართული, სადაც მოთავსებული იქნება მუზეუმის ტეხნიკური ლაბორატორიები; ლაბორატორიები მოწყობილი იქნება ევროპიული ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. გადაწყვეტილია ლაბორატორიები დაარსდეს ეტნოგრაფიის, ბოტანიკის და გეოლოგიის და სხვ. დარგებში.

ტეხნიკური ლაბორატორიების დანიშნულება იქნება შეუდგენ საქართველოს მუზეუმის უამრავ სამეცნიერო მასალების ტეხნიკურად დამუშავებას საგამოფენო მიზნით.

ამას გარდა მუზეუმს დამუშავებული აქვს გეგმა, თუ როგორ აწარმოოს სასწავლო და სამეცნიერო ექსპონატების დამზადება ყველა საფეხურის სასწავლებლებისათვის. მუზეუმს აქვს ცნობები, რომ მეზობელ რესპუბლიკებში დიდი მოთხოვნილება საბუნებისმეტყველო ექსპონატებზე. ტეხნიკური ლაბორატორიების მიზანს სწორეთ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეადგენს.

საქართველოს მუზეუმთან არსებობს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც 1923 წლის დეკრეტის ძალით უნდა შეუერთდეს საჯარო ბიბლიოთეკას. ამ ბიბლიოთეკიდან გამოყოფილია 40.000 სამეცნიერო წიგნი, რომლებიც დარჩება მუზეუმის განკარგულებაში; ეს წიგნები შეეხება მოგზაურობის, გეოგრაფიის, ბოტანიკის, ეტნოგრაფიის, ზოოლოგიის და გეოლოგიის დარგებს. დანარჩენი წიგნები (ჟურნალისტიკა, ბელეტრისტიკა და სხვა) გადაეცემა საჯარო ბიბლიოთეკას.

ამჟამად ექვსი უმუშევარის დახმარებით ხდება ძველი კატალოგების გადასინჯვა და შემოწმება. ამ წიგნებით სარგებლობა შეუძლიათ თბილისის ყველა სამეცნიერო მუშაკებს. ბიბლიოთეკა გაიხსნება ორ თვეში.

დღემდე საქართველოს მუზეუმს სამეცნიერო ურთიერთობა დაამყარა ამერიკის, უნგრეთის, ავსტრიის, [illegible]რანგეთის და სხვა ევროპიულ [illegible]ნების 75 სამეცნიერო საზ[illegible]ბასთან და დაწესებულებასთან. ურთიერთობა ხდება [illegible] გაცვლა-გამოცვლის და მიწერ-მოწერის წესით. სხვათა შორის, მუზეუმს განზრახული აქვს შეუდგეს საქართველოს მცენარეების კოლექციების გადაცვლას ევროპის იმ მცენარეების კოლექციებზე, რომლებიც საქართველოს მუზეუმს არა აქვს, რისთვისაც შემდგარია სათანადო სიები.

მზადდება და შემოდგომაზე გაიხსნება გეოლოგიური და ბოტანიკური გამოფენა. ამასთანავე გაფართოვებული იქნება ზოოლოგიური განყოფილება, სადაც მოეწყობა ყარაიას რაიონის გარეული ღორების კუთხე.

მუზეუმის სამეცნიერო საბჭომ არქეოლოგიურ-ეტნოგრაფიულ განყოფილების გამგეთ მიიწვია ჰამბურგის უნივერსიტეტის ეთნოლოგიის დოქტორი გიორგი ნიორაძე. იგი არის ევროპაში ცნობილ ეთნოლოგ ტილენიუსის მოწაფე. ამასთან ერთად სამეცნიერო საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა დასავლეთ ევროპაში მიავლინოს მუზეუმის დირექტორი—გეოლოგი ნ. ყიფიანი, რომელიც გაეცნობა ევროპის მუზეუმების მუშაობას და აგრეთვე ახალ ცნობებს გეოლოგიის დარგში,

მიმდინარე ზაფხულში ნ. ყიფიანი ჭიათურის შავი ქვის სამმართველოს დავალებით შეუდგება ჭიათურის შავი ქვის რაიონის გეოლოგიურათ შესწავლას; დამუშავებული მასალები მოთავსებული იქნება იმ ნაშრომში, რომლის გამოცემასაც აპირებს 1926 წლის დასაწყისისათვის შავი ქვის სამმართველო.

ახლო ხანში დაიბეჭდება საქართველოს მუზეუმის 7 წლის მოღვაწეობის ანგარიში, რომელშიაც დაწვრილებით გაშუქებული იქნება მუზეუმის მუშაობა და მიღწევები.

საბჭოთა სასამართლო

პროკურორ მაჭავარიანის, ჯორბენაძის და სხვ. საქმე

განაჩენი

7 საათის და 30 წუთის თათბირის შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლომ 10 ივნისს დილის 5 საათზე **გამოიტანა** შემდეგი განაჩენი:

ნიკოლოზ მაჭავარიანის მიმართ ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამ. კოდექსის 117 მუხ. მე-2 ნაწილში (ქრთამის აღებაში), სასამართლომ დაუმტკიცებლად სცნო, ხოლო ბრალდება რომელსაც ითვალისწინებს ამავე კოდექსის 112 მუხ. (ხელისუფლების სახელის გატეხა) და 108 მუხ. პირველი ნაწილი, სასამართლომ დამტკიცებულად სცნო და ბრალდებულ ნიკოლოზ მაჭავარიანს მიუსაჯა ერთი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეცა; სასამართლომ მხედველობაში მიიღო ცაკის მესამე სესიის ამნისტია და წინასწარ დაპატიმრების ჩათვლით მოსახდელი სასჯელის ვადათ **მიუსაჯა ორი თვე და ოთხი დღე.**

ბრალდება **თამარ მაჭავარიანის** მიმართ, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხ. სასამართლომ დაუმტკიცებლად სცნო, მხოლოდ ბრალდება, რომელსაც ითვალისწინებს 193 მუხ., რაც გამოიხატება მოქ. დათიკაშვილისაგან ქრთამის აღებაში, სასამართლომ დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეცა. ვინაიდან ის არის წვრილი შვილების პატრონი ქალი დანაშაული პირველად აქვს ჩადენილი, სასამართლომ სასჯელი პირობით ორი წლით შეუცვალა.

ბრალდება **სიმონ ჯორბენაძის და სერგო ლოტოევის** მიმართ, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამ. კოდექ. 112 მუხ. ლი სასამართლომ დამტკიცებულად სცნო და თანახმად 108 მუხ. მე-2 ნაწილისა ეცხადება მათ საყვედური დისციპლინარული წესით და პრესაში გამოქვეყნებით.

ამბროსი შანშიაშვილის მიმართ ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 112 მუხ. სასამართლომ დამტკიცებულად სცნო და თანახმად 108 მუხ. პირველი ნაწილისა მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეცა; ვინაიდან ის წვრილშვილის პატრონია და დანაშაული პირველად აქვს ჩადენილი სასამართლომ სასჯელი პირობითად შეუცვალა.

აბრამ ფიშიცკის მიმართ ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია 117 მუხ. სასამართლომ დაუმტკიცებლად სცნო და სასჯელისაგან გაანთავისუფლა.

მუშათა ცხოვრება

შეიბრალეთ თანამშრომლები.

(რკ. გზის მთავარ სახელოსნოების „შმოს“ საყურადღებოდ).

მთავარ სახელოსნოებს საიარაღო სამქროში არსებობს ე. წ. საგამომცემლო განყოფილება.

ეს შენობა იმყოფება იქვე საქვაბო საამქროსთან. თავისთავად ცხადია, რომ საქვაბო საამქროში ძლიერ ხმაურობაა ჩაქუჩის ცემის და აგრეთვე პნევმატიურ იარაღებისაგან, რომელიც ძლიერ მოქმედობს ზემოხსენებულ განყოფილების თანამშრომლებზე; აუტანელ ხმაურობის გამო თითქმის დაყრუვდენ კიდევაც ისინი მიმსვლელ მუშებთან, რომელნიც მუდამ იარაღებზე დადიან ძლიერ ნერვიულობენ.

თვით შენობაც ტეხნიკურად უხერხულია. იარაღის საწყობი ნოტიო და ბნელია და იქაური მუშა-მოსამსახურენი რევმატიზმით დაავადებულნი არიან.

საიარაღოს კარების დახურვა შეუძლებელია, ვინაიდან იქ მუდმივი მიმოსვლა არის საჭირო იარაღის მისაღებად. იქვე არსებობს პატარა კანტორა, სადაც ხდება იარაღის გაცემის ყოველგვარი ოპერაციები. იქ მჯდომნი ორი თანამშრომელნი ლამის გასულელდნენ.

საამქროს გამგე მოქ. **გნოევოი** ჯიუტობს და არავითარ ზომებს არ იღებს.

[illegible]როა ამ საქმეში ჩაერიოს [illegible], თანამშრომლები მოუთმენ[illegible]ლიან მისგან დახმარებას.

მუშკორი ზიხელ.

საგზაო შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების კონფერენცია

(მეორე სხდომა)

მეორე სხდომაზე დასრულდა მოხსენებები ადგილებიდან, რის შემდეგ გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღო 40-მდე კაცმა.

მოკამათენი აღნიშნავდენ კომისიების მუშაობის სუსტ მხარეებს, რაც [illegible]მთავრესად გამოიხატება მუშათა [illegible] შემადგენლობის გამოუცდელობაში. ისინი აღნიშნავენ, რომ შემფ. კომისიის წევრთა უმრავლესობა არ იცნობს შრომის კანონთა კოდექს. ამას გამო ხშირად ჰქონია ადგილი გაუგებრობას.

ამხ. ეგიბაროვმა განსაკუთრებით აღნიშნა ეს უკანასკნელი მოვლენა; უმრავლესობა მოკამათეებისა საჭიროდ სცნობდა მუშათა სასარგებლოდ ყოველივე კონფლიქტების მოგვარებას. სხვათა შორის ამხ. ეგიბაროვმა აღნიშნა ის გარემოებაც, რომ კომისიების ნაყოფიერ მუშაობას ხელს უშლის შტატების შემოკლება. ამავე საკითხის გარშემო ილაპარაკა ა. კ. შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. თუმანოვმაც. მან საჭიროდ სცნო შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების უფრო მეტი [illegible] შრომის კანონთა შესწავლის საქმეში.

ა—ძე.

[illegible]

(„ზაკტპოს“ გამგეობის საყურადღებოდ).

მე-26 შრომის სკოლის დავალებით ჩვენ უნდა მიგვეღო ინსტრუქცია კოოპერაციის შესახებ და ახსნა-განმარტება იმის, თუ რა მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას. ჩვენ დავიარეთ ტრესტები, ქარხნები, სინდიკატები, [illegible] ყველამ კარგი პასუხი მოგვცა და აგვიხსნეს კიდეც, გარდა „ზაკტპოს“-ს პირველი მაღაზიისა—„ზაკტპო“-ს № 1 მაღაზიის გამგემ, (ვაგზლის ქუჩა) კი არ გვიპასუხა და როცა შევეკითხეთ მას იმაზე, თუ როგორ არსდება კოოპერატივი, ან რა მიზანი აქვს კოოპერაციას, მან გვიპასუხა: დილით მოვიტანთ გასაღებს, გავაღებთ კოოპერატივის კარებებს, სტავნებს და მუშაობას ვაწარმოებთ.

ვთხოვთ „ზაკტპოს“ გამგეობას სათანადო პასუხი მოთხოვოს № 1 მაღაზიის გამგეს, შ. მანდენოვს ამნაირი ყურადღების მიქცევისათვის.

მე-26 შრომის სკოლის სახელით—მოწაფეები: კოჩიშვილი კ., დარეული მ., მეტეხელაშვილი ნ., გიგაური ელენე, დორეული ნინა და ბაბალაშვილი ლიზა.

ქალთა განყოფილების, ქალაქის აღმასკომის და სანიტარულ განყოფილების ყურადღებოდ.

ავლაბარ[illegible] პეტრე-პავლეს ქ. სახ. № 8-ში ყოფ. მე-7 უბ. მამულ[illegible] არის [illegible], სადაც მუშაობენ [illegible] ქალები. [illegible]სობა ამ ქალებისა ცხოვრობს იქვე ეზოში. ეს ქალები ღამ-ღამობით ყოფილ მე-7 უბნის მამულიდან გამოდიან ქუჩაში და იქვე ღამის 12 საათიდან—2 საათამდე აქვთ გამართული პაემნები. ამ პაემნებს მოსდევს კიდევ სხვა უბედურება—[illegible] დანების ამოღება და სხვა. ეს ქალები უწესო ცხოვრებას ეწევიან კოლექტივის ფანჯრებიდან გადაყავთ ბიჭები. [illegible] ტიურად ხდება და ბევრი ამ [illegible] ქალებისაგან ამ ჟამად არიან ავადმყოფები.

ზემო აღნიშნულ ორგანოებმა უნდა მიაქციონ ამ მეძავეების ბუდეს ყურადღება და სათანადო ზომები მიიღონ.

მუშკორი—[illegible]

მუშათა ქრონიკა

— **დახმარება.** განჯის საფინო პროფკავშირმა გასცა 4 400 მანეთი სასულე ორკესტრის შესაკეთებლად.

— **კავშირის წევრებს დამტკიცება.** ა. [illegible]კ. რკ. გზელთა პროფკავშირმა საფინო პროფკავშირის წევრებად ივნისის განმავლობაში დაამტკიცა 56 კაცი.

— **მოსკოვში გაგზავნა.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირმა მოსკოვში გაგზავნა 7 კაცი საკლუბო კურსებზე.

ქრონიკა

— **დაფნის ფოთლის დამზადება.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა სამეგრელოში დაამზადოს 6 ვაგონი დაფნის ფოთოლი რუსეთის ბაზარზე სარეალიზაციოდ.

— **კონიაკის ქარხნები.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა გახსნას კონიაკის 2 ქარხანა, ერთი დასავლეთ, მეორე აღმოსავლეთ საქართველოში.

— **სპეც-ტეხნიკუმებში** შემსვლელთათვის მომავალ შემოდგომაზე დანიშნულია კოლოკვიუმები სამშობლო ენაზე (წერითი), მათემატიკასა, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებაში. დაწვრილებითი ცნობები მიიღება სათანადო ტეხნიკუმების კანცელარიებში.

— **რკინისგზის სკოლების** მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები გაიხსნება 15 ივლისს ხაშურ

— **სახელმწიფო ღვინის ტრესტი** როსტოვში ხსნის თავის განყოფილებას საკუთარი ნაწარმოებთა გასაღების მიზნით.

— **შრომის პირობების გამოკვლევა.** საქ. შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა გამოიკვლიოს სამრეწველო დაწესებულებებში მომუშავეთა შრომის პირობები.

— **დასვენების განსაზღვრა.** შრომის სახ. კომისარიატმა საექიმო საკონტროლო კომისიას დაავალა დედათა და ბავშვთა სახლის წარმომადგენელთან ერთად გამოიმუშაოს მეძუძურ მუშა-ქალებისათვის დასასვენებელი ვადა.

— **თბილისში საზოგადო სამუშაოების** ხელმძღვანელად ქ. პ[illegible]შკოს ნაცვლად დაინიშნა ამხ. ი. ბერძენიშვილი.

— **შრომის კანონმდებლობის გავრცელება.** საქ. შრომის სახ. კომისარიატი შეუდგა ტყეში მომუშავეთა შორის შრომის კანონმდებლობის გავრცელების საქმეს.

— **დასახიჩრებულთა არტელები.** სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა დღევანდელამდე მარტო თბილისში მოაწყო დასახიჩრებულთა 40 არტელი.

— **დამზღვევ კასას** ივნისის განმავლობაში დასაზღვევი ანარიცხების თავის დროზე შეუტანლობის გამო ჯარიმის სახით შემოუვიდა [illegible]

— **სამუშაო დროს შემცირება.** სახ. შრ. სახ. კომისარიატმა დაადგინა ტყავტრესტის მავნე განყოფილებების მომუშავეებს, სამუშაო დრო შეუმ[illegible] [illegible] საათით და [illegible] საკითხი შეუთანხმოს პროფსაბჭოს.

— **დასამარხი ფულ[illegible].** თბ. დამზღ. კასამ ივნისში დაზღვეულ გარდაცვალებულთათვის დასამარხ ფულად გაიღო 4982 მან.

— **ხილის შესანახი.** წარმოკავშირი შეუდგა გორის მაზრაში ხილის ხელოვნურ შესანახ საწყობების მოწყობას.

— **დასაზღვევი განათლების** გასავრცელებლად გასულ თვეში დამზღვევ კასამ დახარჯა 1,083 მან.

— **მატყლის დამზადება.** წარმოკავშირს განზრახვა აქვს შემოდგომაზე დაამზადოს დუშეთის მაზრაში 5000 ფ. მატყლი, ხოლო ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრებში 8000 ფუთი მატყლი.

— **საზოგადო სამუშაოზე** მომუშავეებს შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით ხელფასი მიეცემათ კვირაში ორჯერ.

— **„ჩვენი გზა“.** გამოვიდა 10 ივლის ც. კ. ქალ. განყ. ჟურნალი „ჩვენი გზა“.

— **საბჭოთა მუშაკების კლუბში** შაბათს 18 ივლისს გრანდიოზული საღამო-სეირნობა (ნაცვლად 11 ივლისს გასამართავ საღამოსი), საუკეთესო ქართულ მხატვრულ და ვოკალურ ძალთა მონაწილეობით.

შემოსავალი მთლიანად გადაიდება საქველმოქმედო მიზნისათვის.

შემთხვევები

— **ბაღ. „ფანტაზია“-ში** 10 ივლისს დილის 5 საათზე, შეიპყრეს პეტრე და ვალიკო ქიქინაძეები, რომლებმაც თავი გაუტეხეს მოდარაჯე მილიციელს, იმ დროს, როცა მილიციელმა მათ მოუწოდა წესრიგისაკენ.

— **ხევში გადავარდნა.** 9 ივლისს, დილით, ბოტანიკურ ქუჩაზე მიმავალი მოქ. აბდულ იუსუბოვი გადავარდა ხევში და მოკვდა.

— **გვამის პოვნა.** 9 ივლისს, დღისით, მე-7 რაიონში მუშებმა მტკვარში იპოვეს ახალდაბადებული ბავშვის გვამი.

— **თავის მოწამვლა.** 9 ივლისს ღამით, ამატუნის ქ. № 36 თავის ბინაზე მოიწამლა თავი მოქ. მარია მქედლიშვილმა.

— **დახრჩობა.** 2 ივლისს სოფ. ნორიოში (კახეთი) წყალდიდობის დროს წყალში დაიხრჩო 14 წლის შალვა თაფლიაშვილი.

— **თვითმკვლელობა.** 6 ივლისს სოფ. მიხაილოვში მცხოვრებმა [illegible] ვინტოვკით სასიკვდილოთ დაიჭრა თავი

სოფლად

ორპირის თემი ორად უნდა გაიყოს

(ოკრიბა, ქუთ. მაზრა)

[illegible] სოფელი შედის [illegible] თემში; თემის დაწესებულებები მოწყობილია წყალწითელას [illegible], ღაბაოში, [illegible]. სასმელი წყალი იქ არ ვარგა, არც სოფელს ახლავს ახლოს.

ორპირის უგზოობა და [illegible] ცნობილია; [illegible] გადის ოკრიბაზე, მაგრამ სოფლებს ერთი-მეორეში მიმოსვლა რკინის გზით არ უხერხდებათ.

ადვილი მისახვედრია, რომ ამდენ სოფლების ერთ თემში თავის დაყრა შეცდომაა და დიდ დაბრკოლებებს ქმნის.

სოფლებს არა აქვთ საშუალება შიგიდენ თემის დაწესებულებებში უგზოობის და სიშორის გამო. როცა ყრილობებზე ან კრებაზე იბარებენ გლეხებს, ყველას არა აქვს შესაძლებლობა და ხალისი აღმასკომში ჩასასვლელათ.

ამას გარდა, რაც ეს სოფლები ერთ თემში მოაქციეს, გლეხებს შორის საოცარი შუღლი ჩამოვარდა. მავალითად კურსებლებს, ჭყეპელებს და ცუცხვათელებს ერთი მეორე თვალით [illegible]. როცა რამე არის გასაკეთებელი, სოფლების შეთანხმება არას გზით არ ხერხდება.

ორპირის თემის ერთიანობა გლეხებს მწუხარებას აყენებს, საქმიანობა ფერხდება, სოფლებს შორის ქიშპობას ბადებს; თემი ერთობ დიდია, გზები არ ვარგა და სხვა ნაკლიც აქვს. ამისათვის გლეხების და საქმის სარგებლიანობა მოითხოვს, რომ თემი ორათ გაიყოს.

კოტე ბერეკაშვილი.

როგორ ვასაღებთ აბრეშუმს

(დაბა ახალ-ხიბულა, სამეგრ.)

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ შემთხვევას, აბრეშუმის პარკის მოსავალი ჩვენს მხარეში კარგი შეიქნა. თუ გავლილ წლებში პარკის საფასურს თავის დროზე არ ვღებულობდით, დღეს ეს არ ითქმის, რადგან პარკის გაყიდვა და ნაღდი ფულის აღება ერთია.

ამხანაგობა „აბრეშუმმა“ მიანდო ახალ-ხიბულის რაიონში პარკის შესყიდვა ადგილობრივ კოოპერატივს. პარკის მიღება ხდება წესიერათ, მხოლოდ არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ კოოპ. გამგეობის წევრ ბ. ღ-ს მეაბრეშუმეებისადმი არა შესაფერისათ მოპყრობა.

უკმეხი სიტყვების წამოსროლა, პრანჭვა-გრეხვა ქალებთან და თავის ამაღლება გლეხების წინაშე. ასეთი მოპყრობა და საქციელი საბჭოთა მოსამსახურეს არ შეშვენის.

ჟ—ნი.

სოფლის ქრონიკა

— რაჭის აღმასკომმა კომისიის დასკვნის თანახმად გადასწყვიტა სოფ. ბუ[illegible] მეწყერისაგან დაზარალებული გლეხები რიცხვით 35 კომლი გადაასახლოს [illegible]ში.

— სკოლების შეკეთება. თელავის აღმასკომმა დაავალა ყველა სათემო აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა მომავალ სასწავლო წლიდან შეაკეთონ ყველა დაზიანებული სკოლები.

— წისქვილის კირცხის (ზუგდიდის მაზრა) აღმასკომმა გა[illegible]რივ გლეხკომს წისქვილი.

— ბორჯომის ჰიდროელექტროსადგურიდან აგარაკ ციმში და წაღვერში უკვე გაიყვანეს ელექტროსინათლე.

წერილებიდან

ს. ამაღლება (გურია). ამხ. პოლიკარპე [illegible] ალხანიშვილის ქალების გამართვის მაგიერ [illegible] სოფელზე [illegible] 100 მანეთი. უნიჭობა მეტად [illegible] ადგილობრივ [illegible] იმედია, რომ სხვებიც მიბაძავდნენ ამხ. პ. [illegible] მიერ გადადგმულ შეგნებულ ნაბიჯს.

[illegible] იბულებული არიან თვალი ადევნონ და ის იბარჯონ, როგორც თვითონ, აგრეთვე საქონლისათვის. საჭიროა არსებულ წყაროს სოფელთან ახლო გამოყვანა ამის შესაძლებლობა არის, ოღონდ ფული და [illegible] გამოჩენა [illegible].

ს. გუგუშვილი.

ჩობაკაურის თემი (გურია). ჩვენ დაშორებული ვართ რკინის გზას 18 ვერსით. ამის გამო გაზეთების მოწოდება ვერ არის [illegible], მთელ კვირობით თავს უყრიან გაზეთებს სადგურ საცნობოში და შემდეგ ურმით აგზავნიან ჩვენსკენ. თურმე [illegible], რომ გაზეთები [illegible] არ [illegible]. ეს, რა თქმა უნდა, აღმასკომის სისუსტეს უნდა მიეწეროს.

ჟანი.

ს. ზუთა (ზუგ. მ.) ფერშალი ქანთარია თითქმის ყოველ დღე მთვრალია. გლეხების და ავათმყოფების საჭიროებას უყურადღებოთ ეპყრობა, იყო შემთხვევა, როცა მთვრალმა ქანთარიამ საჩხუბრად გამოიწვია [illegible] გლეხი. მცხოვრებლები უნდობლად უყურებენ ფერშალს და მისი [illegible] აღდგების მეტს არაფერს იწვევს სოფლად.

სოფლელი გლეხი.

ს. სხიერი (რაჭა). ჩვენს სოფლიდან, წყალი დაშორებულია ვერსნახევარით. გლეხებს და დიასახლისებს დიდი დრო და ენერგია ეხარჯებათ წყლის მოტანაში მაგრამ ზაფხულში, როცა გზა თავისუფალი და მშრალია, ეს კიდევ იმდენ სიძნელეს არ წარმოადგენს. უფრო დიდი გაჭირვება ადგია სოფელს უწყლობის გამო ზამთარში თოვლის ზვავი და ქარ-ბუქი შეუძლებლათ ხდის წყალზე თავისუფლად მისვლას. ამი-

ს. დეხვირი (ლეჩხუმი). ამხ. ვ. შაბუკიანმა თავის სახლში გახსნა სამკითხველო. გაზეთები და სხვა ლიტერატურაც სამკითხველოს ჩვენი სოფლისათვის საკმარისად მოეპოვება. საქმეს აფერხებს მხოლოდ გამგის უყოლობა. ურომლისოდაც სამკითხველო რა შეიძლება, რომ ღია იყოს ყოველ დროს. სამაზრო კომიტეტი უნდა დაგვეხმაროს, რომ გამგის დაუქირავებლობის გამო არ დაიკეტოს დეხვირის კულტურული კერა.

ს. შაბუკიანი.

სოფლის ფოსტა

სირნარს. ხელმოუწერელ და უმისამართო კორესპონდენციებს რედაქცია არ იხილავს.

ქ. სოხუმი, წითლიძეს. ჩვენი კანტორის მიერ თქვენგან მიღებულია 5 მანეთი, მაგრამ, ვინაიდან საფოსტო ბლანკზე, რომლითაც ეს ფული მიღებული იყო, არაფერი ეწერა, ამიტომ ჩვენ არ ვიცოდით თუ რას უნდა მოხმარებოდა ეს ფული. გვაცნობეთ, რა დანიშნულება მივცეთ ამ 5 მანეთს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— კვირას, ა/წ. 12 ივლისს, ყოფ. სამხედრო ტაძრის შენობაში იხსნება საქართველოს ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომის კედლის გაზეთების გამოფენა; გამოფენაზე მოწვეული არიან საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი (ამხ. ზარიბეკოვი და სვანიძე) რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტი, კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის 1, 2 და 4 რაიონები, გაზ. „კომუნისტი“-ს, „ზარია ვოსტოკას“, „რაბოჩაია პრავდას“, „სპარტაკის“ და „ნორჩი პიონერის“ რედაქციები და აგრეთვე ქ. თბილისის ყველა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიები.

სააგიტაციო-საპროპ. განყოფილების გამგე სტეფანოვი.

— ცენტრალურ პარტიულ კლუბში 11 ივლისს, საღამოს 7 საათზე, გაიმართება პროპაგანდისტთა კურსების მ-ე რიგი მეცადინეობა რუსულ ენაზე.

— მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს დღეს, 11 ივლისს, საღამოს 7 ს. გამოცხადდნენ რაიკომის აღმრიცხ.-გამნაწ. განყოფილებაში პარტბილეთების მისაღებად:

აბუაშვილი სვიმონ, გორეჩკო პეტრე, ბეჟანოვ ამაიაკ, ბარსეგოვ ტიგრან, ბლეტკინა მარია, ბარსეგოვი სარიბეკ, ბალარჯიშვილი იოსებ, ჯანებაშვილი ივანე, ყაზაროვი ყაზარ, ხუბულაშვილი გლ., ლუკაშევიჩ პეტრე, მამაცაშვილი დავით, მევანაძე რუბენ, მნაცაკანოვ არშაკ, მარტიკიან არშაკ, პარკოსაძე პორფირე, პეტროსიან კეგამ, საკოვ ანდრანიკ, სარქისიან სარქის, საკიან გუკას, სანაკოევ გერასიმ, სირაძე ვარდენ, ტომარაძე დავით, მირუაშვილი სერგო, ალიევ მუსლიმ, აკოფოვ ტიგრან, ათაბეგოვ არტემ, ჰივაზოვ არმენაკ, ათაბეგოვ არტემ, აირაპეტოვ სტეფანე, აბადიან გალუსტ, ამირბეკოვ ავეტის, ბაბაიან ალექსი, ბოგომოლოვ ვიქტორ, ბარსეგოვ არტუშ, ბალდასაროვ ლევან, ეიშხმაევსკი დიმიტრი.

მდივნის მაგიერ ფირალოვი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებული ცოლი ქეთევან ბესარიონის ასული, შვილები: თამარა, გიორგი, ალექსანდრე (საშა), რძლები: სოფიო და ბარბარე ანდრონიკაშვილები—დები: მარიამ ალექსანდრეს ასული ჯორჯაძისა და ქეთევან ალექსანდრეს ასული კალატოზიშვილისა თავიანთი ოჯახობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს რომ ახლად გარდაცვალებული

ზაქარია ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილის

პანაშვიდი იქნება გადახდილი შაბათს, 11 ივლისს, ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე—ვერაზე. 1 1 1941

გაუბედურებულნი მოხუცი მამა ბესარიონ [illegible]ძე, ძმები იოკიმე, კოლა და ფილიპე ბესარიონისძენი, ბიძა პეტრე მოსეს-ძე, ბიცოლა ნატალია შვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათი უძვირფასესი

ნინა ბესარიონის ასული პეტრიაშვილი-მაჭარაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას 12 ივლისს, შუადღის 12 საათზე ქ. ბორჯომში

გულდათუთქულნი ქმარი გიორგი, დედამთილი ტასო, რძალი ელენე, მაზლები—ვანო და ვასო მაჭარაშვილები, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათი საყვარელი და უძვირფასესი

ნინა ბესარიონის ასული პეტრიაშვილი-მაჭარაშვილის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას 12 ივლისს, შუადღის 12 საათზე ქ. ბორჯომში.

კოტე (კოწია) ჯაფარიძე, კოწია (კოზმა) რაზმაძე, ეფრემ, აკაკი და შალიკო ისაკაძენი, იასონ ლებანიძე, იასონ ნატმელაძე, ერმალოზ ქველიძე, კოლია მაისაშვილი, მიხეილ ბოჭორიშვილი, ფილიპე ცეცაძე და ილია აბაიშვილი—აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 7 ივლისს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ყველასათვის ძვირფასი და დაუვიწყარი ახალგაზრდა

დავით (დათიკო) ლომთაძე

ცხედრის გამოსვენება მოხდება კვირას 12 ივლისს, დილის 10 საათზე (განოვის ქუჩა № 3) გ. გველესიანის ბინიდან. 1—1 1942

მიშა ჩიჩუა, მიშა კვატაშიძე, [illegible]ევერიანე ედიბერიძე, ვ. ნუცუბიძე, დ. ყიასაშვილი, ლ. ფირცხალავა, ალ. კალანდაძე და არტ. ჩიჩუა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 7 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი მეგობარი

დავით (დათიკო) ლომთაძე

ცხედრის გამოსვენება კვირას, დილის 10 საათზე განოვის ქ. № 3. დაკრძალვა ვერაზე, ნიკოლოზის სასაფლაოზე.

№ 1932—2—2

ქიქიკო ძველაია, ელიკო მგრელიშვილი, ისიდორე მანწკავა, შაქრო ცივილაშვილი და ანდრია ბიბილეიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ 7 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეგობარი

დათიკო ლომთაძე

№ 1931—1—1

გრიგოლ და [illegible] შვილებიანურთ გიორგით და ლევანით ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ სამშაბათს, 7-ამ ივლისს, უდროოდ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი და ძვირფასი შვილის სწორი ახალგაზრდა

დავით ბესარიონის ძე ლომთაძე

პანაშვიდი 11 ივლისს, შაბათს, საღამოს 7 საათზე მათ ბინაზე (განოვის ქუჩა № 3, ბინა 18) გამოსვენება კვირას, 12 ივლისს, ამავე ბინიდან დილის 10 საათზე.

№ 1904—2—2

გაუბედურებულნი მამა ბესარიონ და დედა მარიამ ლომთაძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 7 ამა ივლისს უდროოთ გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი ერთად ერთი შვილი

დავით ბესარიონის ძე ლომთაძე

პანაშვიდი შაბათს, 11 ივლისს, საღამოს 7 საათზე გრიგოლ გველესიანის ბინაზე (განოვის ქუჩა სახლი № 3, ბინა 18). გამოსვენება კვირას, 12 ივლისს, ამავე ბინიდან დილის 10 საათზე.

№ 1904—2—2

თინათინ გველესიანი აუწყებს ყველას თავისი ძვირფასი მეგობრის

დავით ლომთაძის

[illegible] № 1904 2—2

გიორგი ბ[illegible], [illegible] ალექსანდრეს ასული და [illegible] გიორგის ძე მახარაძე, თამარ, ელიკო და შალვა ხუციშვილები, გიორგი, ვანო, ნინო, თინა, თამრიკო, ალიკო და თემო ქანიშვილები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქ. თელავში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი—თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი

მირიან გიორგის ძე მახარაძე

დაკრძალვა—ქ. თელავში 11 ივლისს.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრაციული

განყოფილება

ამით აცხადებს ქალ. თბილისის მონადირეთა კავშირის ყველა იმ წევრების საყურადღებოდ, რომლებმაც დღემდე არ გაატარეს სანადირო თოფები რეგისტრაციაში და არ მიიღეს შესაფერი ნებართვები უკანასკნელთა შენახვაზე და ხმარებაზე, რომ თანახმად საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებისა, სანადირო თოფების რეგისტრაციის ვადა უკანასკნელად გაგრძელებულ იქნა

კიდევ ორი კვირის ვადით

დღიდგან ამა განცხადების პრესაში გამოქვეყნებისა.

რეგისტრაცია სწარმოებს ყოველდღიურად ხსენებულ ადმინისტრატიულ განყოფილების ადმინისტრატიულ და სისხლის სამართლის მაგიდაში ([illegible] ლომაძის ქ. № 7 ოთ. № 2) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. სამშაბათობით და შაბათობით საღამოს 6 საათიდან 8 საათამდე. ის მონადირეთა კავშირის წევრები, რომლებიც იმყოფებიან თბილისის მაზრაში ვალდებულნი არიან გაატარონ რეგისტრაციაში სანადირო თოფები აღნიშნულ ვადის განმავლობაში შესაფერ სამილიციო უბნის სამმართველოში საცხოვრებელ ადგილის მიხედვით.

ამასთანავე ადმინისტრატიული განყოფილება უკანასკნელად აფრთხილებს, რომ ის მონადირეთა კავშირის წევრები, რომლებიც მოხსენებულ ვადის განმავლობაში არ გაატარებენ სანადირო თოფებს რეგისტრაციაში თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებისა № 14 მიცემული იქნებიან პასუხისმგებაში ს. ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის 226 მუხლის ძალით.

თბილისის აღმასკომის ადმინ. განყოფ.

უფროსის მაგ. შ. კილურაძე

სისხლის სამართ. და ადმაგიდის უფროსი ამაშუკელი

ნ. 1471 2—1

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

ვლადიმერ გოკუჩავას და ალ. თოფურიძეს

კანტორა „მნათობი“

წინადადებას აძლევს დაუყოვნებლივ დაბრუნდნენ თბილისში კანტორის საქმეებისა გამო.

ნის. № 1467—2—1 კანტორა.

მიხა ჩოდრიშვილის
სახელობის
შინამრეწვ. ხელოსანთა საზოგადოების

კლუბი

(პლეხანოვის პროსპექტი № 66)

ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.

კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.

ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია

კლუბთან გახსნილია

ბუფეტი-რესტორანი

აზიური და ევროპიული საჭმელებით.

ფასები ხელმისაწვდომია

საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.

ნის. № 1323—25—19

---

15 ივლისს დილის 9 საათზე
წარმოკავშირის ბინაზე (კომინტერნის ქუჩა № 8)
დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გორის მაზრაში ორი ხილის შესანახი საწყობის ასაგებათ

განცხადებები ამ სამუშაოს აღების შესახებ დახურულ კონვერტებში მიიღება წარმოკავშირში ყოველდღე 12—2 საათამდე.

იქვე მეხილეობის სექციაში შეიძლება დაწვრილებითი პირობების გაგება

2—1 ნ. 1468 წარმოკავშირის გამგეობა.

საქ. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი
ა.-წ. 18 ივლისს დღის 12 საათზე ნიშნავს

შერეულ ვაჭრობას
თბილისის საავადმყოფოებისათვის

500 კუბ. საჟ. შეშის მისაწოდებლად. ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველები აძლევენ საწინდარს 2.800 მანეთს ფულით ან ქონებით გარდა იმ დაწესებულებათა, რომელნიც კანონით თავისუფალი არიან საწინდარის შეტანისაგან.

მიწოდების კონდიციების მიღება შეიძლება

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის
საფინანსო განყოფილებაში

საპიორის ქ. № 30, დილის 9 საათიდან 2 საათამდე.

ნის. 1460. 3—2

თბილისის აღმასკომის თანამშრომელთა კლუბთან
გაიხსნა სოლოლაკის და ფრეილინის ქუჩ. კუთხე გაიხსნა

ბაღი-რესტორანი

სამზარეულო ევროპიული და აზიური საუკეთესო კულინარის ზედამხედველობით

უაღრესად დაცულია სისუფთავე

გაიცემა საუკეთესო სადილები სახლშიაც დღის 2 საათიდან—ორი თავისაგან 50 კაპეიკად, 3 თავისაგან—70 კაპ. ვახშამი ღამის 3 საათამდე, ფასები პორციების ყველასათვის მისაწვდომია. ღვინოები საუკეთესო ფირმების 50 კაპეიკიდან ზევით.

ნ. № 1472—4—1

ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონ. და რადიო-კავშირის
ამიერ-კავკასიის საოლქო სამმართველო
20 ივლისს, დღის 12 საათზე უკანასკნელის ბინაზე ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

ამიერ-კავკასიის სახაზინო—ცხენიან საფოსტო სადგურებისათვის საკვები მასალის (ფურაჟის) იჯარით მისაწოდებლად, შემდეგი რაოდენობით:

სადგ. სახელწოდება	ქერი	თივა	ბზე
თბილისის	3402 ფ.	3780 ფ.	756 ფ.
ბათომის	1458 „	1620 „	324 „
ქუთაისის	5022 „	5580 „	1116 „
კარაკლისის	1458 „	1620 „	324 „
დელიჟანის	2916 „	3240 „	648 „
ერევნის	2592 „	2880 „	576 „
ევლახის	1944 „	2160 „	432 „
ბაქოს	1620 „	1800 „	360 „
აღდამის	972 ფ.	1080 ფ.	216 ფ.
ნუხის	2106 „	2340 „	468 „
სალიანის	1296 „	1440 „	288 „
ყაზახის	648 „	720 „	144 „
ზარდობის	972 „	1080 „	216 „
ზაქათალის	1296 „	1440 „	288 „
განჯის	486 „	540 „	108 „
კუბის	648 „	720 „	144 „
სულ	28836	32040	6408

ვაჭრობაში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ იმ პირებმა, რომელთაც იჯარის უზრუნველსაყოფად წარმოადგინეს საწინდარი იჯარის ღირებულების 25 პროც.-ის რაოდენობით ნაღდათ ან 50 პროც. უძრავი ქონებით და აგრეთვე პირადობის მოწმობა.

განცხადებების შეტანა შეიძლება პირადათ ან ფოსტით, საოლქო სამმართველოს საფოსტო განყოფილებაში, რუსთაველის პროსპ. 43.

ოლქის უფროსის თანაშემწე—კურაბცევი.

საფოსტო განყ. უფროსი—ცაგარეიშვილი.

ნ. 1466 2—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

კინო „ეთერი“ კინო

მაქს ლინდერი

ახალ სურათში

ნ. 1458 2—1

ბარე-უბნის სასამართ. აღმასრულ. კ. ოდიშარია

აცხადებს, რომ ის 17 ივლისს 1925 წ. საათის 1 დღისა, პლეხანოვის პროსპ. № 193 მეორე საჯარო ვაჭრობით გაყიდის კირილე ერემეევის მოძრავ ქონებას მავთულებს, 50 ფ. ზამბუკს, პრუჟინებს, კრაოტის მავთულებს, ორ მაგიდას და სხ. შეფასებულს 176 მანეთად. დასაკმაყოფილებლად რკინის გზის პროფკავშირებისა ვაჭრობა მეორეა.

სასამართლოს აღმასრულებელი ოდიშარია.

№ 1934—1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—2

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებანი) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—3

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—19

ექიმი მ. ო. ზანდუკელი

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).

ტელ. 4—82 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი

25—8

ექიმი გ. გ. მეუნარგიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა, ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

25—3

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილისა, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

25—4

ექიმი დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული

(მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

25—3

ექიმი ბ. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

25—4

მანგლისი

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგან და ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. 25—20

ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

25—21

ექიმი გ. ი. შაპელნიკოვი

ელისაბედის ქ. № 7

სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.

მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალ[illegible] დღის 3—4 [illegible]

25—8

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი №8.

25—11

წაღვერი

მედიცინის დოქტორი ა. ა. მოწ[illegible]

მოზრდილთა და ბავშვთა შინაგან ორგანოების და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობაში იღებს დილის 10—1 საათამდე ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით. საპუნოვის აგარაკი № 5 (კოოპერატივის მახლობლად).

25—10 1793

ექიმი ვ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულ. სიფილისი (606 914)

მიღება კაც. 7—8 ს. დილ. 7—8 ს. საღ. ქალების 6—7 ს. საღ. მოსკოვის ქ. № 4.

25—8

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

25—4

ექიმი ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. [illegible]: ქალების და ბავშვების 5—6 ს. მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 1[illegible] შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

25—4

ექიმი ვ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ № 38.

25—9

დაკარგე აბესალომ ბართლომეს ძე სვანიძემ 1) პარტიის საკანდ. ბილეთი № 8239, 2) ს. ა. ლ. კ. [illegible] საწევრო ბილეთი № 14970, 3) პირადობის მოწმობა № 256, 4) ორდერი № 0 00318, 5) სამხედრო სააღრიცხვო ბარათი და სხვადასხვა საჭირო საბუთები. ჩ. გ. 1935 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა მარიამ ონოფრეს ასული კალანდაძემ. ჩ. გ. 1937 1—1

დაკარგე დაზღვევის წიგნაკი № 1432 ონოფრე როსტომის ძე კალანდაძემ. ჩ. გ. 1938 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 15 და მეტრიკული ამონაწერი № 67 პეტრე დავითის ძე ჩაჩიბაიას სახელზე. ჩ. გ. 1930 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ნინო ზაქარიას ასული დეკანოსიშვილის სახელზე. ჩ. გ. 1933 1—1

დაკარგე გრიგოლ ხეცურიანმა პროფკავშირის წიგნაკი № 8893. ჩ. გ. 1936 1—1

დაკარგე პასპორტი № 135 კოლია ლაზარეს ძე მაისურაძის სახელზე. ჩ. გ. 1928 1—1

დაკარგე რეგისტრაციის სააღრიცხვო წიგნაკი № 250 და მოწმობა რკ. გზ. მე-4-ე 9 წლედი სკოლისა № 991 ვალოდია ათანასეს ძე შილაკაძის სახელზე. ჩ. გ. 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა გიორგი ალექსის ძე აბესაძის სახელზე (№ 354) და რეგისტრაციის მოწმობა ჩ. გ. 1929 1—1

დაკარგე დამზღვევი სალაროს წიგნაკი, კავშირის წიგნაკი, ორდერი № 26007 29 მაისს მოცემული აღმასკომიდან ტიგრან ვართანოვის სახელზე. ჩ. გ. 1940 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა ელენე აუქსენტის ასული პატარაიას სახელზე. ჩ. გ. 1934 1—1

ტირაჟი— 2[illegible]